მესხეთის უნივერსიტეტი

№ 10-11 (257) ნოემბერი-დეკემბერი, 2018 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

გავლილი 2018 წელი

მაკა ბერიძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ნებისმიერი დაწესებულების წარმატებას საფუძვლად ყოველდღიური, რუტინული საქმიანობა უდევს. ჩატარებული რთული და შრომატევადი სამუშაო კი აზრს მხოლოდ იმ შემთხვევაში იძენს, თუ შედეგზეა ორიენტირებული. ამიტომ, ვფიქრობთ, გავლილი ერთი წლის შეჯამება-შეფასება უნდა დავიწყოთ არა დახარჯული ძალისხმევის აღნიშვნით, არამედ სწორედ შედეგების მიხედვით.

აკრედიტაცია გაიარა დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულმა საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამამ (ხელმძღვანელი პროფ. ირმა ქურდაძე). ის მომზადდა დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად და სიახლეა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. სამინისტროს ხელშეწყობით, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობითა და სხვა ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამა განსხვავებულ შესაძლებლობებს სთავაზობს მომავალ მასწავლებლებს. პერსპექტივა სწორად შეაფასეს აბიტურიენტებმაც და დარეგისტრირებული მსურველების მონაცემებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველ ადგილზე აღმოჩნდა. როგორც შექმნის, ისე საკმაოდ მოკლე ვადაში პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელების პროცესში არნახული ძალისხმევა ჩაიდო პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან.

აკრედიტაცია მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებმა (ხელმძღვანელები: პროფ. ცისკარა ზარანდია; პროფ. თინა გელაშვილი). აღსანიშნავია, რომ თითოეული პროგრამა აკრედიტაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად მზადდება და იმავე სტანდარტებით მოწმდება. ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა წარმოდგენილი პროგრამების ფუნქციონირებას, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი სრულად არის ჩართული მის განხორციელებაში და შედეგიც, ვფიქრობთ, თითოეული მათგანის თანამონაწილეობით დადგა.

მადლობას მოვახსენებთ სამივე პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამებში ჩართულ გუნდს განეული შრომისთვის.

სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა სააკრედიტაციოდ წარდგენილი კიდევ ორი პროგრამის შესამოწმებლად. რამდენიმე დღის წინ გავეცანით ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის (ხელმძღვანელები: პროფ. ზაირა ტყებუჩავა; დოქტორი ნანა ზუბაშვილი) შესახებ ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ დასკვნას, რაც გვაძლევს ოპტიმისტური განწყობის საფუძველს. პროგრამა მრავალმხრივ ინოვაციურია და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ნებისმიერი პარტნიორობა უნივერსიტეტებთან თუ საერთაშორისო ფონდებთან შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენი უნივერსიტეტის გასავითარებლად და გასაძლიერებლად. მადლიერებას გამოვხატავთ „საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის“ მიმართ, რომლის უშუალო დახმარებით გახდა შესაძლებელი აგრონომიის პროგრამაში სიახლეების დანერგვა, აკადემიური პერსონალის მომზადება-გადამზადება.

გაგრძელება მე-2 გვ.

სიბნელეესა და განვითარებულ ოკუპაციებული უნივერსიტეტი *გვ.3*

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი *გვ.3*

ინფორმაცია

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ცხადდება კონკურსი შემდეგი მიმართულებებით

გვ.5-6

ექსპერიმენტების და სიახლეების მაძიებელი ახალგაზრდები *გვ.2*

ჟურნალ „არავის“ პრეზენტაცია ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში *გვ.4*



მირზა მდივანი: ჯერი ახალგაზრდებზეა - მათ უნდა შექმნან ქართულენოვანი პროგრამები *გვ.7*

„ყველაფერი იმ დღიდან დაიწყო, როდესაც უნივერსიტეტში მოვხვდი, საოცარ სამყაროში საოცარი აღამიანებით“ *გვ.11*

მწერლის „გოლგოთის გზა“ *გვ.12*

გავლილი 2018 წელი

მაკა ბერიძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

პირველი გვერდიდან

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ, ელოდება დასკვნას. შეიძლება ითქვას, ეს პროგრამა ჩვენი უნივერსიტეტის სავიზიტო ბარათია, ერთდროულად ხორციელდება როგორც პირველ (ახალციხე), ისე მესამე (ახალქალაქი) კორპუსში. ვფიქრობთ, წარდგენილ პროგრამაში სრულადაა ასახული გამოცდილება, რომელიც უნივერსიტეტში დაარსებიდანვე იქმნებოდა.

აკრედიტაციის განაცხადი წარვადგინეთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის თაობაზე (ხელმძღვანელი პროფ. მერაბ ბერიძე). პროგრამას სერიოზული საერთაშორისო გამოხმაურება აქვს და უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე უნივერსიტეტის ამბიციებს სრულად ასახავს.

გამოცდილება, რომელიც პროგრამების აკრედიტაციის პროცესში მივიღეთ, მნიშვნელოვანია და სერიოზული დაფიქრების საშუალებას იძლევა. ობიექტური, კოლეგიალური, უნივერსიტეტის განვითარებაზე ორიენტირებული დამოკიდებულება, რომელიც იგრძნობოდა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან, სტიმულს გვაძლევს სამომავლო გეგმების სწორად განსაზღვრისათვის.

გავლილი წელი გადამწყვეტი აღმოჩნდა უნივერსიტეტის განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით. როგორც აკადემიურმა, ისე წარმომადგენლობითმა საბჭომ, რექტორატმა გაიზიარა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვეტერინარიის პროგრამის აუცილებლობის იდეა. ამან საშუალება მოგვცა, გადაგვედგა კონკრეტული ნაბიჯები. შევქმენით სპეციალური ჯგუფი საქართველოში საუკეთესო სპეციალისტების ჩართულობით, რომელმაც მოამზადა პროგრამა. ამჟამად მიმდინარეობს პროგრამის წარდგენა დაინტერესებული მხარეების წინაშე მისი საბოლოო ჩამოყალიბებისათვის. გვესმის, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სათანადო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ამ მიმართულებითაც გადაიდგა რამდენიმე ნაბიჯი. საქართველოს პრეზიდენტის ფონდთან არსებული თანამშრომლობა დასრულდა უნივერსიტეტისთვის ფინანსური დახმარებით, რამაც საშუალება მოგვცა 50 ათასი ლარის ფარგლებში შეგვეძინა შესაბამისი სასწავლო ლაბორატორიისათვის აუცილებელი აღჭურვილობა. გვაქვს სახელმწიფოს იმედი.

ეს პერსპექტივა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას ორგანულად უკავშირდება. მთელი უნივერსიტეტი იყო ჩართული სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში. განისაზღვრა პრიორიტეტები, კიდევ უფრო გამოიკვეთა მიზნები, ამოცანები მომავალი 7 წლის განმავლობაში. უახლოეს პერიოდში გეგმა წარედგინება განსახილველად მართვის ორგანოებს.

გაგრძელდა უნივერსიტეტში არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები, პირველი შედეგები დაიდო შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების დასრულების შემდეგ. გააქტიურდა ელექტრონული სწავლების კომპონენტები.

შემუშავდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის ახალი ვერსია, სადაც გამოიკვეთა უნივერსიტეტის უმთავრესი ღირებულებები: თავისუფლება, ეროვნულობა, ტოლერანტობა.

დასრულდა 2018 წელი თავისი წარმატებებითა და პრობლემებით. ახალი წელი ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაყენებს, რომელთა დასაძლევად აუცილებელია უნივერსიტეტის ერთსულოვნება, მიზანდასახულობა და პროფესიონალიზმი. მინდა მივულოცო ახალი წელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობას, პროფესურას, თითოეულ თანამშრომელს, საქართველოს ყველა მოქალაქეს.

ექსპერიმენტებისა და სიახლეების მაძიებელი ახალგაზრდები

„პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა კაცთა, ღვთივრჩეულთა“. – უთქვამს დიდ ილიას. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწორედ ასეთი რჩეული ახალგაზრდები წარსდგნენ აუდიტორიის წინაშე, 21 ნოემბერს, საკუთარი შემოქმედებით.

„პოეზია სულის მდგომარეობაა.“ – უთხრა დამსწრე საზოგადოებას **მარიამ ხარაიშვილმა,** რომელიც უძღვებოდა პოეზიის საღამოს და, ახალგაზრდა შემოქმედთა გამოსვლების პარალელურად, საზოგადოებას პოეზიის შესახებ გამოჩენილ მოღვაწეთა ნააზრევს აცნობდა. **„სიბრძნის დარგია“? – როგორც ამას რუსთველი გვეუბნება, თუ „მოვარდნილი მეწყერია“? – როგორც ამას ტიციანი უწოდებს?.... ან იქნებ?... და ღვთივბოძებული ნიჭი სწორედაც რომ მის შექმნასაც უნდა. დავეთანხმები იმ აზრსაც, რომ ნიჭთან ერთად ცოდნა და შრომაც სჭირდება, როგორც ყოველგვარ საქმეს ამ ქვეყნად.... და მაინც, რა არის პოეზია?**

ახალგაზრდა პოეტებმა **მირზა ბურძენიძემ, რევაზ ზუმბაძემ, მარიამ სუდაძემ, ოტია ზედგინიძემ** ნიჭს შრომა არ დააკლეს და „მოვარდნილი მეწყერივით“ შემოიჭრნენ თითოეული ადამიანის გულში. ყოველი მათგანი საკუთარი სტილით, მრავალფეროვანი თემატიკითა და კითხვის მათეული მანერით საათნახევრის განმავლობაში ცდილობდა, სიამოვნება მიენიჭებინა მობრძანებული სტუმრებისთვის.

თითოეული ახალგაზრდა პოეტის გემოვნება, ნიჭი, ცოდნა დამსწრე საზოგადოების მხრიდან დადებითად შეფასდა. გამოითქვა სურვილი, რომ აღდგეს ტრადიცია „ლიტერატურული ხუთშაბათობების“, რომელიც 90-იანი წლებიდან უნივერსიტეტში იმართებოდა და უამრავ ახალგაზრდა შემოქმედს წარმოაჩენდა.

მადლობა მინდა მოგახსენოთ, ახალგაზრდებო. მიხარია, რომ ისეთ შეხვედრაზე მომიწია მოსვლა, რომელიც ჩვენი ყოველდღიურობა არ არის. აქ ისეთი კარგი რაღაც ჩანს, ვფიქრობ,90-იან წლებში რომ გვქონდა, ისეთი საღამოები მოვაწყოთ, ინდივიდუალურად, თქვენი შემოქმედების განხილვის. თითოეული თქვენგანის წაკითხული ლექსი ლამაზია. ერთი მხრივ სხვა შემართება იგრძნობოდა. წაკითხულს სხვაგვარად უნდა გაგება.ზოგადად ვიტყვი, თითოეულ თქვენგანს მუშაობა უნდა. როდესაც გალაკტიონის არქივი გაიხსნა, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ლექსზე წლობითაც კი ჰქონდა ნამუშევარი. შემოგთავაზებთ ასეთ რამეს. ათ-ათი ლექსი მოიტანეთ და დავბეჭდავთ ჟურნალ „არავში“. დავსხდეთ, განვიხილოთ ლექსები, ერთად ვიმსჯელოთ. ეს ურთიერთობის კარგი ფორმა იქნება, – აღნიშნა სამეცნიერო სამსახურის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ.**

სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ლალი ბერიძემ** მადლობა მოახსენა სტუდენტებს არაჩვეულებრივი საღამოსთვის და დასძინა: **ადრე, როდესაც დათო ტურაშვილი ესტუმრა უნივერსიტეტს, „მკითხველთა კლუბი“ ჩამოყალიბდა. მივესალმები „ლიტერატურული ხუთშაბათობების“ ტრადიციის აღდგენას. ამ გზით, ახალგაზრდებს მივცემთ შესაძლებლობას, უფრო განვითარდნენ.**

ყველა თქვენგანის ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტში“. მე, როგორც პოეზიის მოყვარული ადამიანი, აღტაცებული გისმენდით... მოხიბლული ვარ თქვენი პოეზიით. წარმატებები მინდა გისურვოთ პოეზიის დიდ გზაზე, – აღნიშნა გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის“ რედაქტორმა **მარინე ზედელაშვილმა.**

ახალგაზრდა პოეტები შეაფასა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ასოცირებულმა პროფესორმა **გულიკო ბექაურმა: მეამაყება ეს წუთები იმიტომ, რომ თქვენ დაგინახეთ სრულიად სხვა როლში, ახალგაზრდა პოეტების როლში. განცდა, რაც გამიჩნდა არის ის, რომ უფრო ბევრმა მოგისმინოთ, ყველა თაობის ადამიანებმა, რომ გაიგონ, ამ თაობას როგორ უყვარს თავისი სამშობლო, თავისი კუთხე, გიყვართ ქალი და აჩვენებთ ამ გრძნობებს. მიხარია, რომ დღეს თქვენი ლექსები გავიცანი.**

პოეზიის საღამოს ესწრებოდა პოეტი, ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ისტორიკოსი – **გიორგი ბერიძე,** რომელმაც გაიხსენა „ლიტერატურული ხუთშაბათობები“ და მიესალმა იდეას, უნივერსიტეტში აღდგეს მსგავსი შეხვედრები. **მახსენდება ჩვენი თაობა. თუ შევადარებთ, ჩვენ ამ დონეზე არ ვიდექით. ჩვენ უფრო დაბალ დონეზე ვიყავით, მაგრამ ამბიცია იყო დიდი. პირველივე კრიტიკა იმდენად მძიმე იყო, კინაღამ სულ დავანებე წერას თავი. ყველზე კარგი გამოსავალი არის ის, რაც ბატონმა მერაბმა თქვა. უნდა აღდგეს „ლიტერატურული ხუთშაბათობები“. იქ სხვა სამყარო იყო. იქ ერთნაირი ადამიანები ვიკრიბებოდით. ახალგაზრდებო, ვწეროთ, ვწეროთ და ვწეროთ.**

ახალგაზრდა პოეტმა **რევაზ ზუმბაძემ** მადლობა მოახსენა ყველას შეფასებისთვის და თბილი სიტყვებისთვის: **მინდა გითხრათ, რომ ეს ჩვენი ძირითადი საქმე არ არის. ჩემი აზრით, პოეზია არის შებოჭილობიდან თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა. როდესაც სიმარტოვეზე ვწერ, მე ხშირად ვყოფილვარ ათას ადამიანში მარტო. მე ვერ დავწერ სხვანაირად. ჩვენ, რა თქმა უნდა, ბევრი სამუშაო გვაქვს. მე შეიძლება ერთ საათში დავწერო ლექსი და იმას აღარ მივუბრუნდე დიდი ხანი. ისე ნუ გაგვიგებთ, რომ ჩვენ ვაფუჩეჩებთ საქმეს. ჩვენ ყოველდღიურად ვფიქრობთ ამაზე, ჩვენ არ გვეშინია ექსპერიმენტების. ვიღაცამ რომ დამიწესოს შეზღუდვები, მე ვერ დავეთანმხები ამ შეზღუდვებს. მე წავიკითხავ ლექსს; ვინც მომისმენს, თავს დავუკრავ; ვინც არ მომისმენს, იმასაც თავს დავუკრავ.**

უნდა აღინიშნოს, რომ ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება და სამეცნიერო ბიბლიოთეკა. ახალგაზრდა პოეტების ლექსების შერჩევასა და ღონისძიების კომპოზიციურად წარმოდგენას ხელმძღვანელობდა საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი **ნინო დობორჯგინიძე.**

კითხვაზე, თუ რა არის პოეზია, დღემდე არავის გაუცია ყველასათვის მეტ-ნაკლებად მისაღები პასუხი. პოეზიის აღთქმაგაგება და სიყვარული, უმეტესწილად, სუბიექტურია. ამიტომ, მისი განმარტებაც ყოველთვის სუბიექტური და არასრული იქნება. – ამ სიტყვებით დაასრულა მარიამ ხარაიშვილმა ახალგაზრდა პოეტებთან შეხვედრა.

მართლაც რომ, სუბიექტურად განცდილი გრძნობები დაუტოვეს, ახალგაზრდება ამ დღეს შეხვედრის მონაწილეთ.



ლიკა ზაზაშვილი

სიახლეებსა და განვითარებაზე ორიენტირებული უნივერსიტეტი

19 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა, რომელზეც ძირითად საკითხად განიხილეს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი. შესავალში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **როინ თათეშვილმა** ისაუბრა მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე. აქვე ყურადღება გაამახვილა იმ ძირითად საკითხებზე, რაც 2018 წელს განხორციელდა. აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს არა მხოლოდ რეგიონული, არამედ მთლიანად სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის დატვირთვა გააჩნია საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით, კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „უნივერსიტეტს უახლოეს მომავალში მოუწევს სწავლების, კვლევისა და მართვის ხარისხის დადასტურება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების პირობებში. ეს აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსის განსაკუთრებულ ჩართულობას მოითხოვს, რათა მაღალი კონკურენციის პირობებში უნივერსიტეტმა ღირსეულად გაართვას თავი ამ გამოწვევას. სწორედ ამიტომ, 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში გათვალისწინებული იქნა ყველა შესაძლო ფაქტორი, ბიუჯეტი რომ ყოფილიყო მაქსიმალურად რეალისტური და განხორციელებადი“. – აღნიშნა ბატონმა როინმა.

მისივე განცხადებით, ეკონომიკური და სოციალური პროგრამების უმნიშვნელოვანესი რესურსია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრები, რაც დამოკიდებულია განათლების სფეროს ეფექტურობაზე. რადგან არსებულ პროგრამებს უწევს აკრედიტაცია, ბატონი როინის თქმით, აუცილებელია პროგრამების გადახალისება, ახალ სტანდარტებზე მორგება, რისთვისაც საჭიროა ფინანსური მხარდაჭერა, რათა კურსდამთავრებულებს, აღნიშნული კომპეტეციებით შეეძლოთ შრომის ბაზარზე შესაფერისი ადგილის დამკვიდრება და კარიერული ზრდა. ბატონმა როინმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ფარგლებში აქტუალური და განსახორციელებელია შემდეგი აქტივობები:

- სასწავლო-კვლევით პროცესში მაქსიმალური ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა;
- კურსდამთავრებულებთან აქტიური უწყვეტი თანამშრომლობა;
- სტრუქტურისა და მართვის სისტემის მოდერნიზაცია;
- უნარშეზღუდულთათვის გარემოს მაქსიმალურად ადაპტირება;
- ბიბლიოთეკის ფონდის განახლება ციფრული და ბეჭდური ლიტერატურით.

კვლევის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 35 000 ლარი, რომელიც კონკურსის წესით გამარჯვებულ ჯგუფებს გამოეყო ფაკულტეტების მიხედვით. კვლევებში, პროფესორებთან ერთად, ჩართულნი იყვნენ სტუდენტები. მისივე თქმით, გათვალისწინებული იქნება მხარის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებული კვლევები. ბატონმა როინმა ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული პროცესი კვლავაც იქნება მხარდაჭერილი ახალ ბიუჯეტში. მისი თქმით, განათლების ყველა საფეხურზე ხარისხის უზრუნველყოფისა და შედეგების გაუმჯობესების უმთავრესი წინაპირობაა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება. ამ კუთხით განხორციელდება კვლევები და შეფასებები, რისთვისაც ადმინისტრაცია დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში მაქსიმალურად იზრუნებს შრომითი მოტივაციისა და პროფესიული ზრდის წახალისებისთვის.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა დადებითად შეაფასეს და მადლობა მოახსენეს ბატონ როინს გაწეული საქმიანობისთვის.

ახლა კი მოკლედ შემოგთავაზებთ წარმომადგენლობით საბჭოზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გაკეთებულ გასული წლის შემაჯამებელ გამოსვლას:

გასულ წელს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოცულობითი სამუშაოები განხორციელდა. პირველი კორპუსის დერეფნებსა და სველ წერტილებში არ არსებობდა გათბობის სისტემა. სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ჩატარდა ძველი საქვაბის დემონტაჟი. ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნულმა გააუმჯობესა გათბობის სისტემის მუშაობა. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ შემდგომში აუცილებელი იქნება კორპუსის კაბინეტებსა და აუდიტორიებშიც შეიცვალოს არსებული, მოძველებული, არაეფექტური სისტემა.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ტექნიკური რეგლამენტის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნათა სრული დაცვით, უნივერსიტეტის პირველ და მეორე სასწავლო კორპუსებში მოეწყო უნარშეზღუდულთათვის პანდუსები და შესასვლელი კარებები. პირველი სართულის სველ წერტილს ჩაუტარდა მთლიანი რეკონსტრუქცია. სპეციალურად, მეორე სართულზე ქალბატონებისთვის განკუთვნილი სანიტარული კვანძისთვის შეძენილი იქნა წყლის გამაცხელებელი, რომელიც დამონტაჟდება და შეუფერხებლად ფუნქციონირებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შშმ პირთათვის ადაპტირებული კორპუსისთვის აუცილებელია, შენობას ჰქონდეს მოთხოვნების შესაბამისი ლიფტი. აქედან გამომდინარე, განხორციელდა ლიფტის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. აღნიშნული სამუშაოების ღირებულება გათვალისწინებულია 2019 წლის ბიუჯეტში.

უნივერსიტეტში გამომცემლობა ფუნქციონირებდა არახელსაყრელ სამუშაო პირობებში. სტამბის სამუშაო ფართს, რომელიც ერთ ოთახს მოიცავს, ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და გაიმიჯნა ერთმანეთისგან მანქანა-დანადგარების და მომუშავე პერსონალის სივრცეები, რითაც რადიკალურად გაუმჯობესდა პერსონალის სამუშაო პირობები. ასევე, დამატებით შეძენილ იქნა კომპიუტერები და მონიტორები, რომლებიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევას. ასევე, მოეწყო დამატებითი საინფორმაციო ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 50 351 ლარი, რომლითაც შევიძინეთ ლაბორატორიული დანადგარები და ახალი სასწავლო წლიდან ეს დანადგარები დაინერგება სასწავლო პროცესში.

წესრიგის დაცვის მიზნით, შენობა-ნაგებობების მთლიანად გარე და შიდა პერიმეტრზე დამონტაჟდა ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები. დამონტაჟდა თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების ელექტრონული აღრიცხვის აპარატი. მინდა დაბეჯითებით განვაცხადო, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის არის ორიენტირებული სიახლეებსა და განვითარებაზე.

და ბოლოს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა მოვახსენო აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, ვინც აქტიური მონაწილეობა მიიღო 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში და, ასევე, 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადებაში.

ლიკა ზაზაშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი
რ. თათეშვილი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი
ლ. ჩიგურდანიძე

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2019 წელი
შემოსავლები	**4 773 850,00**
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	**1 383 050,0**
სწავლის საფასური	**3 314 800,0**
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება	**0,00**
მ.შ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა	0,00
მ.შ. სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს	0,00
მ.შ. გრიგოლ ხანძთელის სახ. სტიპენდია	0,00
მოდულური საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის განხორციელება	0
ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	**0,00**
სამეცნიერო-კვლევითი გრანტები	**0,0**
კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები	**76 000,0**
საერთაშორისო ირგანიზაციიდან მიღებული გრანტი	0,0
2 სხვა შემოსავლები	76 000,0
3	
4	
დაწესებულების მთლიანი ასიგნება (გადასახდელები)	
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
სულ ასიგნება	**4023240,00**
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	188
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	164

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
ხარჯები	**3 625 740,0**
შრომის ანაზღაურება	2 093 340
საქონელი და მომსახურება	1 402 400,0
გრანტები	0
სოციალური უზრუნველყოფა	20 000
სხვა ხარჯები	110 000
არაფინანსური აქტივების ზრდა	**397 500,00**
ვალდებულებების კლება	**0**
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**750 610**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის ხარჯები	
სულ ასიგნება	**4 023 240,0**
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	188
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	164
ხარჯები	**3 625 740,0**
შრომის ანაზღაურება	2 093 340,0
საქონელი და მომსახურება	1 402 400,0
გრანტები	
სოციალური უზრუნველყოფა	20 000,0
სხვა ხარჯები	110 000,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	**397 500,0**
ვალდებულებების კლება	**0,0**
ნაშთი წლის ბოლოს	**750 610,0**

ჟურნალ „არავის“ პრეზენტაცია ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

ქალაქ ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, 21 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული, სამეცნიერო პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალის **„არავის“** პრეზენტაცია გაიმართა. ჟურნალი 2016 წლიდან გამოიცემა. მისი დამაარსებელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე** გახლავთ. შეგახსენებთ, რომ ჟურნალში სხვადასხვა ავტორების გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები და ლექსები იბეჭდება. ასევე, „არავი“ მკითხველს აცნობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების შემოქმედებას.

პრეზენტაცია ახალციხის ააიპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელმა **ზაირა კელაპტრიშვილმა** გახსნა. მან საზოგადოებას „არავის“ისტორია და მისი შინაარსი გააცნო. ამასთან, მადლობა მოახსენა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი ღონისძიებები ამ ორ დაწესებულებას შორის კვლავაც დაიგეგმება.

ჟურნალის დაარსებისა და გამოცემის ისტორიაზე ისაუბრა „არავის“ რედატორმა, პროფესორმა მერაბ ბერიძემ. მან მიმოიხილა მესხეთის პერიოდული გამოცემების ისტორია, ხაზი გაუსვა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობას. აღნიშნა, რომ პირველი დამოუკიდებელი გაზეთი **„მესხეთი“** 90-იან წლებში სწორედ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოიცა.

შეიქმნა უნივერსიტეტი, რომელსაც თავისი მისია და დანიშნულება ჰქონდა. ჩვენ ჩვენი სიტყვა უნდა გვეთქვა. „არავის“ გამოცემამდე უნივერსიტეტში გამოდიოდა, ასევე, სამეცნიერო ჟურნალი „გულანი“, რომელიც სულ 20 ტომია. ამის შემდეგ საჭირო იყო ჟურნალის მოდერნიზაცია. სამეცნიერო პუბლიკაციების ახალი მოთხოვნები საკმაოდ რთულია, ამიტომ ამას სპეციფიკური მუშაობა სჭირდება. შემდეგ გადავედით გამოცემის იმ ტიპზე, რასაც „არავი“ ჰქვია. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, არ ჩავკეტილიყავით საკუთარ ნაჭუჭში. – აღნიშნა ჟურნალის რედაქტორმა და აქვე დასძინა, რომ ჟურნალის პრეზენტაცია სხვადასხვა ქალაქებში უკვე შედგა. ჟურნალის რედაქტორმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჟურნალში დაბეჭდილი ავტორები. ასევე, აღნიშნა, რომ „არავს“ გამოცემაში ქველმოქმედებიც ეხმარებიან და ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციას – შპს „ნათია 777“-ს ქველმოქმედებისა და ჟურნალ „არავის“ მეოხებისთვის მადლობის სიგელი გადასცა.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გურამ მელიქიძე**, რომელმაც აღნიშნა, რომ მერია ჟურნალს ფინანსურ დახმარებას აღმოუჩენს. **ახლა უმეტესობა პერიოდული გამოცემებისა ელექტრონულია. ამ ფონზე „არავის“ გამოცემა ჩვენი ქალაქისთვის, ჩვენი რეგიონისთვის დიდი წარმატებაა. ჩვენ არ ვართ ღარიბი მუნიციპალიტეტი. 71 მუნიციპალიტეტთა შორის პირველ ათეულში ვართ. კანონიერების ფარგლებში, ვეცდებით, წარმატებით განვახორციელოთ თანამშრომლობა ამ ჟურნალთან. მადლობა იმისთვის, რომ ხართ და ამ ტიპის გამოცემებს ხელმძღვანელობთ.**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მაკა ბერიძემ** ქალაქის სამეცნიერო ბიბლიოთეკასა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობის გაღრმავებას დიდი მნიშვნელობა მიანიჭა. მადლობა მოახსენა ყველას ღონისძიების ორგანიზებისთვის და ჟურნალის შესახებ შემდეგი განაცხადა: **2016 წელს ახალი სამეცნიერო – პოპულარული და ლიტერატურული ჟურნალის დაარსება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან არ იქნებოდა მარტივი, ყოველთვიურად შეგვექმნა ისეთი პერიოდული გამოცემა, რომელიც დააკმაყოფილებდა სტანდარტებს. ჟურნალმა აჩვენა სერიოზული ძალა და პოტენციალი, გახდა საინტერესო გამოცემა არამარტო ახალციხეში, არამედ საქართველოს მასშტაბით. უნივერსიტეტის თანადგომით, ასეთი მეცენატების თანადგომით, „არავს“ უწერია ხანგრძლივი სიცოცხლე და არსებობა. უნივერსიტეტს გააჩნია თავისი პოლიტიკა იმისთვის, რომ შეასრულოს საზოგადოების როლი და თავისი საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულების ფლაგმანად მიიჩნევს სწორედ ამგვარი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის გამოცემას და მხარში დგომას.**

ჟურნალის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე ისაუბრეს გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა **ავთანდილ ბერიძემ,** ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა **ზაზა თამარაშვილმა**, სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის დირექტორმა **ციური ლაფაჩმა,** ასოცირებულმა პროფესორმა **ნატო ყრუაშვილმა,** მოწვეულმა პედაგოგმა **ნათელა ბერიძემ,** ასოცირებულმა პროფესორმა **ლალი ბერიძემ,** სახალხო მთქმელმა **ვასილ კვინცხაძემ.**

დღევანდელ დღეს ჩვენ მშვენიერი წიგნის პრეზენტაციის მონაწილენი გავხდით. ჟურნალში საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი სხვადასხვა მიმართულების თემები. მე მინდა მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც მომცა საშუალება, რომ ამ ჟურნალთან ვითანამშრომლო. გისურვებთ წარმატებებს. მრავალი წარმატებული საქმე ეკეთებინოს უნივერსიტეტს. – აღნიშნა **ციური ლაფაჩმა.**

ასოცირებულმა პროფესორმა ლალი ბერიძემ განაცხადა, რომ ჟურნალი ხიდად იქცა ემიგრანტ ქართველებსა და საქართველოს შორის: **ის მონატრება, ტკივილი, რასაც ჩვენი ემიგრანტები განიცდიან , თავიანთ შემოქმედებაში გადააქვთ. „არავმა“ ხელი შეუწყო მათი ლექსებისა და მოთხრობების სამშობლომდე მოტანას. თანდათან გაფართოვდა ემიგრანტი ავტორების რიცხვი და არეალი. ჟურნალის როლი მაშინ იქნება სრულყოფილად შესრულებული, თუკი მას მუდმივი მკითხველი ეყოლება. საბედნიეროდ, ჩვენ გვყავს ასეთი მკითხველები, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ სკოლების ქართულის მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ ეს ჟურნალი, ახალგაზრდა თაობასთან რომ მივიდეს ჩვენი სათქმელი. ეს სკოლებსა და ჟურნალს შორის თანამშრომლობის კარგი საშუალება იქნებოდა.** – აღნიშნა მან.

ჟურნალი „არავი“ ეგზავნებათ ავტორებს საზღვარგარეთ. ამან სტიმული მისცა ქართველ ემიგრანტებს, შეექმნათ ქართული სათვისტომოები. მაგალითისთვის დავასახელებდი საბერძნეთში, თესალონიკში ქართულ სათვისტომოს, რომელსაც აქვს თავისი გამოცემა. მას ხელმძღვანელობს ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ლუიზა ტალახაძე. ასევეა ავსტრიაში. ისინი ბევრ კარგ ქართულ საქმეს აკეთებენ. **გვითხრეს, რომ „არავი“ გახდა მათი სტიმულის მიმცემი. „არავმა“ ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა ემიგრანტებში ქართული ნაწილის გაცოცხლებისა და შენარჩუნებისთვის.** – აღნიშნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულმა პედაგოგმა **ნათელა ბერიძემ.**

ასოცირებულმა პროფესორმა **ნატო ყრუაშვილმა** შემდეგი განაცხადა: **დარწმუნებული ვარ, რომ იმ საქმეს, რასაც დღეს ვაკეთებთ, დროთა განმავლობაში კიდევ უფრო დაედება ფასი. „არავს“ ერთი კარგი პრინციპული დამოკიდებულება აქვს. ჟურნალში იბეჭდება ის მასალები, რომელიც ქართველ მკითხველს ჯერ არ უნახვს. „არავმა“ ერთგვარი ლაკმუსის როლიც შეასრულა. ბევრს გააბედვინა, თავისი შემოქმედება საჯაროდ გამოეტანა. ვუსურვებთ ჟურნალს წარმატებას.**

პრეზენტაციის მონაწილეთაგან კიდევ ბევრმა გამოთქვა აზრი ჟურნალის მიმართ და ყველა მათგანი აღსავსე იყო ამ მნიშვნელოვანი გამოცემის წარმატების სურვილებით.

ლიკა ზაზაშვილი

ინფორმაციები

● **5 ნოემბერს** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში 123-ე აუდიტორიაში გაიმართა ტრადიციული ქცეული ღონისძიება **„საუბრები რექტორთან“** უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი მაკა ბერიძე შეხვდა სტუდენტებს, ესაუბრა იმ საკითხების მოგვარებაზე, რომელიც წინა შეხვედრისას დასვეს ხელმძღვანელობის წინაშე სტუდენტებმა.

ამ შეხვედრაზეც მთელი რიგი პრობლემების მოგვარება თხოვეს რექტორს სტუდენტებმა და დიდი კმაყოფილება გამოხატეს ასეთი გულახდილი დიალოგის გამო.

● **7 ნოემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 123-ე აუდიტორიაში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებმა ტრენინგი გამართეს სტუდენტებთან თემაზე: „ადამიანის უფლებები და რელიგიური შემწყნარებლობა“. საკითხის სრულყოფილად წარმოჩენისათვის ღონისძიებაში სააგენტოს რამდენიმე მომხსენებელი მონაწილეობდა, კერძოდ ტრენინგს თემაზე **სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა** – უძღვებოდა სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი **ვალერიან ლილუაშვილი,** ხოლო თემაზე – **რელიგიის თავისუფლება ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით,** ისაუბრა სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, **დავით დავითაშვილმა;** სტუდენტებმა მიიღეს აგრეთვე მონაწილეობა ტრენინგში – **საქართველოში გავრცელებული რელიგიები და მათი ისტორია,** რომელზეც ისაუბრა სააგენტოს რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინატორმა **სერგო ფარულავამ.**

ტრენინგის მიზანია: საქართველოში რელიგიის თავისუფლების, ტოლერანტობის, თანასწორუფლებიანობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის განმტკიცება.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ ტრენინგი გამართა **„2018-2020 წ. წ. ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის“** ფარგლებში.

● **7 ნოემბერს** ადიგენის მუნიციპალიტეტის ბენარის საჯარო სკოლას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მაკა ბერიძე** და პრორექტორი სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე** ეწვივნენ.

მაკა ბერიძემ გააკეთა პრეზენტაცია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ, ხოლო მერაბ ბერიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია ბენარისა და მიმდებარე სოფლების ტოპონიმიკაზე.

ბოლოს ტრადიციულად სტუმრებმა ბენარის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს წიგნები.

ღონისძიებას ორგანიზებას უწევდა საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.

● **13 ნოემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საეკლესიო სამართლის პედაგოგის **ნელი ღონღაძის** ინიციატივით მოწვეული იყვნენ გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიის პედაგოგები **მამა ალექსი (რიჟამაძე)** და **მამა დავითი (ჯიქურიშვილი).** პროგრამით გათვალისწინებული ლექციის თემა იყო საეკლესიო საიდუმლოებანი. ლექციას ესწრებოდნენ იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები, ასევე, დაინტერესებული პირები. დაისვა არაერთი კითხვა, რომელთაც მამა დავითმა და მამა ალექსიმ უპასუხეს.

● **14 ნოემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო ახალციხის SKYE კლუბის – ახალგაზრდე-

→

ინფორმაცია

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ცხადდება კონკურსი შემდეგი მიმართულებებით

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მიმართულება	დარგი/ქვედარგი	ვაკანსია	
		აკადემიური თანამდებობა	საშტატო ერთეულის რაოდ.
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	რუსული ფილოლოგია	ასოცირებული პროფესორი	1
	ინგლისური ფილოლოგია	ასოცირებული პროფესორი	1
განათლება	მასწავლებლის განათლება	ასოცირებული პროფესორი	1
	უცხოური ენის სწავლების მეთოდიკა	ასოცირებული პროფესორი	1

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

მიმართულება	დარგი/ქვედარგი	ვაკანსია	
		აკადემიური თანამდებობა	საშტატო ერთეულის რაოდ.
ინჟინერია	ინფორმატიკა	ასოცირებული პროფესორი	2
დარგთაშორისი	ეკოლოგია	ასოცირებული პროფესორი	1

კონკურსის ძირითადი პირობები:

1. პროფესორის თანამდებობაზე 5 წლის ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო– პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 წლის ვადით.

4. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც მიაღწია 65 წელს, აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლდება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის შემდეგ.

5. გამონაკლისის სახით უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წლის ასაკს გადაცილებული პირი, თუ იგი აკმაყოფილებს აკადემიურ კონკურსში მონაწილე კანდიდატისადმი დადგენილ მოთხოვნებს. აკადემიური თანამდებობის დაკავება ხორციელდება კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

6. საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება: კონკურსანტის კვალიფიკაციის და კომპეტენციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი პედაგოგიური, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაციები და დამსახურება;

ასევე საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული გასაუბრება-ინტერვიუს და (კომისიის გადაწყვეტილებით ან კონკურსანტის მოთხოვნით) საჯარო ლექციის შედეგები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო კომისიის სამდივნოში უნდა წარადგინოს:

ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები გაიცემა საბუთების მიმღები კომისიის მიერ, ან კონკურსანტს შეუძლია ელექტრონული რესურსის გამოყენება, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: http://www.sjuni.edu.ge), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი (ნოტარიულად დამოწმებული ასლი), სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ.

ბ) სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

გ) დისერტაციის (საკანდიდატო/სადოქტორო) სადისერტაციო მაცნე (ავტორეფერატი);

დ) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი საბუთი (საბუთები), დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით;

ე) სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების და სამეცნიერო პრეზენტაციების (კონფერენციებზე, სიმპოზიუმზე, სემინარზე და ა. შ.) ნუსხა, დამოწმებული შესაბამისი დანესებულების/ორგანიზაციის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (დამოწმება ასევე შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით);

ვ) იმ დისციპლინების ჩამონათვალი, რომელსაც კონკურსანტი ბოლო 5 წლის განმავლობაში კითხულობდა აკრედიტებულ უსდ-ში (დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ბეჭდით);

ზ) პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო კვლევის კონცეფცია, ხოლო ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად სამოტივაციო წერილი;

თ) პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს სილაბუსები ანკეტაში მითითებულ ყველა საგანში;

ი) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

კ) ორი ფოტოსურათი;

ლ) ყველა მონოგრაფია და სახელმძღვანელო, რომელიც მითითებულია კონკურსანტის შრომების ჩამონათვალში (ბოლო 6 წლის განმავლობაში).

კონკურსში მონაწილეობა შეზღუდვა

კონკურსანტის აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის (ან დოქტორანტის) მიმართულება ზუსტად უნდა ემთხვეოდეს დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის მიმართულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატის დოკუმენტაცია არ განიხილება.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში დაიშვება მხოლოდ ის კონკურსანტი, ვისაც შეუძლია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაუთმოს სამუშაო კვირის მინიმუმ სამი დღე და აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში უნივერსიტეტთან გააფორმებს აფილირების ხელშეკრულებას.

საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება კანდიდატის მიერ გამოქვეყნებული ის სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომები, რომელიც ზუსტად ემთხვევა დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის მიმართულებას ბოლო 6 წლის განმავლობაში.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომები, როგორც აუცილებელი პროცედურა, მოწმდება პლაგიატზე უნივერსიტეტში შექმნილი პლაგიატის კომისიის მიერ. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში კონკურსანტის კანდიდატურა საკონკურსო კომისიის მიერ არ განიხილება.

კონკურსის ჩატარების წესი

1.კონკურსი ჩატარდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.

2. კონკურსი ცხადდება 2018 წლის 14 დეკემბერს. დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვრება 2019 წლის 14 იანვრიდან 28 იანვრამდე. კონკურსი ჩატარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ ერთი და არაუგვიანეს ორი თვის ვადაში.

1. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ოთხი წლის ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

2. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც მიაღწია 65 წელს, აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლდება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის შემდეგ.

3. გამონაკლისის სახით უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წლის ასაკს გადაცილებული პირი, თუ იგი აკმაყოფილებს კონკურსში მონაწილე კანდიდატისადმი დადგენილ მოთხოვნებს. აკადემიური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

4. კონკურსი ცხადდება 2018 წლის 14 დეკემბერს. დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვრება 2019 წლის 14 იანვრიდან 28 იანვრამდე. კონკურსი ჩატარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ ერთი და არაუგვიანეს ორი თვის ვადაში.

5. ასოცირებული პროფესორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 1000 (ათასი) ლარით. იხ. საკონკურსო პირობები და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი.

6. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში

მისამართზე:

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106, ოთახი №210.

საკონტაქტო ინფორმაცია:
577 98 77 80
(გიული ზედგინიძე)

ბის ეკონომიკური გაძლიერებისათვის საჭირო უნარებისა და ცოდნის კლუბის მუშაობა. მოხალისე ლიდერები შეხვდნენ კლუბის წევრებს, გაიცნეს ერთმანეთი, ჩაუღრმავდნენ SKYE მოდულის სასწავლო მიზნებსა და განსაზღვრეს როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდის მოლოდინები.

ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საჭირო უნარებისა და ცოდნის (SKYE) კლუბი ეხმარება ახალგაზრდებს, რომ მათ განივითარონ უნარები, ქცევები და დამოკიდებულებები ლიდერობის, სოციალური ჩართულობის, მეწარმეობისა და დასაქმების კუთხით, ასევე პროექტის მენეჯმენტის, კომუნიკაციის, ტექნიკური კომპეტენციის, ინოვაციისა და შემოქმედებითობის განვითარების კუთხით, რაც აუცილებელია საზოგადოების განვითარებისათვის.

ინფორმაციები

World Vision საქართველო EU4YOUTH პროგრამის მიერ დაფინანსებული SAY YES პროექტის ფარგლებში ახორციელებს SKYE კლუბებს.

ახალციხის SKYE კლუბი ფუნქციონირებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

კლუბის მუშაობაში მონაწილეობდა და თავისი აზრები და შეხედულებები კლუბის მუშაობასა და მოხალისე ლიდერებზე დამსწრე აუდიტორიას გააცნო ადმინისტრაციის უფროსმა, პროფესორმა **როინ თათეშვილმა.**

● **22 ნოემბერს,** სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის ორგანიზებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გაიმართა ლექცია ადამიანის უფლებების შესახებ.

ლექცია მიეძღვნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 70 წლის იუბილეს და მის ფარგლებში განხილული იქნა დეკლარაციისა და ადამიანის უფლებების მნიშვნელობა. შეხვედრაზე, კერძოდ, საუბარი იყო ადამიანის უფლებების ზოგადი პრინციპების, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებასა და გავლენაზე, ამასთან, თანასწორობასა და დისკრიმინაციის აკრძალვაზე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე, ეკონომიკური, კულტურული უფლებებისა და თავისუფლებების შინაარსზე.

ლექციების სერია იწყება სამცხე-ჯავახეთით და, კიდევ, 4 სხვა რეგიონს მოიცავს. მათი მიზანია, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სტუდენტებისთვის ადამიანის უფლებების საკითხებზე ცნობიერების ამაღლება და ინტერესის გაძლიერება, ამასთან, სტუდენტებისთვის მათ უფლებებზე ინფრომაციის მიწოდება.

ლექციას უძღვებოდნენ ადამიანის უფლებების სფეროში წამყვანი ექსპერტები: **თამარ თომაშვილი** – ასისტენტ-პროფესორი, თავისუფალი უნივერსიტეტი; **გიორგი ჩხეიძე** – ადამიანის უფლებათა იურისტი, „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) პროექტის ხელმძღვანელი.

ლექცია ჩატარდა ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროქტის „ადამიანის უფლებები ყველასათვის” ფარგლებში, რომელიც ეხმარება სახელმწიფოს ადამიანის უფლებათა პოლიტიკის დოკუმენტების განხორციელებაში და ადამიანის უფლებებზე მომუშავე უწყებებს გაძლიერებასა და განვითარებაში.

ინფორმაციები უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

ინფორმაცია

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ცხადდება კონკურსი შემდეგი მიმართულებებით

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

მიმართულება	დარგი/ქვედარგი	ვაკანსია	
		აკადემიური თანამდებობა	საშტატო ერთეულის რაოდ.
ბიზნესის ადმინისტრირება	მენეჯმენტი	ასოცირებული პროფესორი	1

1. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ოთხი წლის ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

2. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც მიაღწია 65 წელს, აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლდება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის შემდეგ.

3. გამონაკლისის სახით უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წლის ასაკს გადაცილებული პირი, თუ იგი აკმაყოფილებს კონკურსში მონაწილე კანდიდატისადმი დადგენილ მოთხოვნებს. აკადემიური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

4. კონკურსი ცხადდება 2018 წლის 20 დეკემბერს დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვრება 2019 წლის 21 იანვრიდან 4 თებერვლამდე. კონკურსი ჩატარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ ერთი და არაუგვიანეს ორი თვის ვადაში.

5. ასოცირებული პროფესორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 1000 (ათასი) ლარით. იხ. საკონკურსო პირობები და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი.

6. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში

მისამართზე:
ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106, ოთახი №210.

საკონტაქტო ინფორმაცია:
577 98 77 80
(გიული ზედგინიძე)

კონკურსის ძირითადი პირობები:

1. პროფესორის თანამდებობაზე 5 წლის ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო– პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 წლის ვადით.

4. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც მიაღწია 65 წელს, აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლდება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის შემდეგ.

5. გამონაკლისის სახით უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წლის ასაკს გადაცილებული პირი, თუ იგი აკმაყოფილებს აკადემიურ კონკურსში მონაწილე კანდიდატისადმი დადგენილ მოთხოვნებს. აკადემიური თანამდებობის დაკავება ხორციელდება კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

6. საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება: კონკურსანტის კვალიფიკაციის და კომპეტენციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი პედაგოგიური, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაციები და დამსახურება;

ასევე, საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული გასაუბრება-ინტერვიუს და (კომისიის გადაწყვეტილებით ან კონკურსანტის მოთხოვნით) საჯარო ლექციის შედეგები.

საკონკურსო პირობები

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო კომისიის სამდივნოში უნდა წარადგინოს:

ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები გაიცემა საბუთების მიმღები კომისიის მიერ, ან კონკურსანტს შეუძლია ელექტრონული რესურსის გამოყენება, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: http://www.sjuni.edu.ge), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი (ნოტარიულად დამოწმებული ასლი), სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ.

ბ) სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

გ) დისერტაციის (საკანდიდატო/სადოქტორო) სადისერტაციო მაცნე (ავტორეფერატი);

დ) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი საბუთი (საბუთები), დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით;

ე) სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების და სამეცნიერო პრეზენტაციების (კონფერენციებზე, სიმპოზიუმზე, სემინარზე და ა. შ.) ნუსხა, დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების/ ორგანიზაციის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (დამოწმება ასევე შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით);

ვ) იმ დისციპლინების ჩამონათვალი, რომელსაც კონკურსანტი ბოლო 5 წლის განმავლობაში კითხულობდა აკრედიტებულ უსდ-ში (დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ბეჭდით);

ზ) პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო კვლევის კონცეფცია, ხოლო ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად სამოტივაციო წერილი;

თ) პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს სილაბუსები ანკეტაში მითითებულ ყველა საგანში;

ი) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

კ) ორი ფოტოსურათი;

ლ) ყველა მონოგრაფია და სახელმძღვანელო, რომელიც მითითებულია კონკურსანტის შრომების ჩამონათვალში (ბოლო 6 წლის განმავლობაში).

კონკურსში მონაწილეობა შეზღუდვა

კონკურსანტის აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის (ან დოქტორანტის) მიმართულება ზუსტად უნდა ემთხვეოდეს დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის მიმართულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატის დოკუმენტაცია არ განიხილება.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში დაიშვება მხოლოდ ის კონკურსანტი, ვისაც შეუძლია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაუთმოს სამუშაო კვირის მინიმუმ სამი დღე და აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში უნივერსიტეტთან გააფორმებს აფილირების ხელშეკრულებას.

საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება კანდიდატის მიერ გამოქვეყნებულიის სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომები, რომელიც ზუსტად ემთხვევა დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის მიმართულებას ბოლო 6 წლის განმავლობაში.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომები, როგორც აუცილებელი პროცედურა, მოწმდება პლაგიატზე უნივერსიტეტში შექმნილი პლაგიატის კომისიის მიერ. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში კონკურსანტის კანდიდატურა საკონკურსო კომისიის მიერ არ განიხილება.

კონკურსის ჩატარების წესი

1.კონკურსი ჩატარდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.

2. კონკურსი ცხადდება 2018 წლის 20 დეკემბერს. დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვრება 2019 წლის 21 იანვრიდან 4 თებერვლამდე. კონკურსი ჩატარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ ერთი და არაუგვიანეს ორი თვის ვადაში.

დოქტორანტების სამეცნიერო სემინარი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, 5-6 დეკემბერს, გაიმართა დოქტორანტთა სამეცნიერო სემინარი. სემინარის მონაწილეებმა წარმოადგინეს მოხსენებები ფილოლოგიის, ისტორიისა და ეთნოლოგიის აქტუალურ საკითხებზე, სამეცნიერო პრობლემების კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე.

სამეცნიერო სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი **გულიკო ბექაური,** სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი **მერაბ ბერიძე,** ასევე, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი **მაკა ბერიძე,** პროფესორი **უჩა ბლუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი **ვასილ მოსიაშვილი,** პროფესორი **რომან გოგოლაური** და დოქტორანტები. მოხსენებებს აფასებდა სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: პროფესორი **ნიკოლოზ ახალკაცი,** ასოცირებული პროფესორები – **მაია ქუქჩიშვილი, მარინე შონია, ლამზირა კობაიძე.**

დოქტორანტთა სამეცნიერო სემინარი გახსნა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა გულიკო ბექაურმა: **როდესაც დოქტორანტი სემინარზე გამოდის, ჩემი მოლოდინია, რომ მის მიერ წარმოდგენილ სტატიაში საკუთარი აზრი იყოს დაფიქსირებული. იმ სტატიაში, სადაც წარმოჩენილი იქნება ინდივიდუალური აზროვნება, მე პირადად, მაღალ ქულას დავწერ. დღეს ჩვენ ძალიან დიდი მოლოდინი გვაქვს. კვლევა, თქვენი მეცნიერული უნარი, თემისადმი დამოკიდებულება, ეს არის მნიშვნელოვანი. ეს აჩვენეთ ჩვენს პროფესორებს და დაამტკიცებთ, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, თქვენ რომ დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურაზე სწავლობთ.**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ბერიძემ აღნიშნა, რომ დოქტორქანტებზეა დამოკიდებული უნივერსიტეტის შემდგომი ამბიცია, რომელიც გულისხმობს – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შენარჩუნდეს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი, რაც გამოიხატება მესამე საფეხურის პროგრამების აკრედიტაციაში. **რამდენადაც დიდია მოლოდინი, იმდენად დიდია თქვენ წინაშე წაყენებული მოთხოვნები. ბევრი მიზეზის გამო, მე ყოველთვის მიხარია დოქტორანტებთან შეხვედრა. თქვენზეა დამოკიდებული, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეინარჩუნოს სტატუსი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსს. ამბიცია ჩვენი ძალიან სერიოზულია. ვფიქრობთ, რომ ამისთვის მზად ვართ იმიტომ, რომ თქვენ არსებობთ, თქვენ ხართ. სხვა დროს ცოტა უფრო მშვიდად მივუდგებოდით იმ საკითხებს, რომლებიც დოქტორანტებთან დაკავშირებითაა; ახლა ვიქნებით ძალიან კრიტიკულები და ვიქნებით ძალიან ობიექტურები და ეს ყოველივე თქვენ მოგეხმარებათ, უკეთესი გახდეს თქვენი სამეცნიერო ნაშრომი.** – აღნიშნა ქალბატონმა მაკამ.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა ოთხი წელია, ფუნქციონირებს და უკვე კურსდამთავრებულებიც ჰყავს. აღნიშნული სემინარი სწორედ სადოქტორო პროგრამის მიხედვით ტარდება. თითოეული დოქტორანტი წარმოადგენს თემას თავის სპეციალობაში. პირობაა, რომ მოხსენება არასადოქტორო თემიდან უნდა იყოს წარმოდგენილი. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ სრულიად ახალი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა გვაქვს სააკრედიტაციოდ. კვალიფიკაციის მინიჭება იქნება სხვაგვარი. აღარ გვექნება ცალკე, მაგალითად, ეთნოლოგიის დოქტორი, ფილოლოგიის დოქტორი; გვექნება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი. – აღნიშნა რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, აღნიშნული სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მერაბ ბერიძემ.

ქართველური ენათმეცნიერების სადოქტრო პროგრამის დოქტორანტმა **ნინო ზედგინიძემ** წარადგინა თემა – **„ენობრივი სიტუაცია გერმანიაში“. ეს თემა შევარჩიე იმიტომ, რომ დღევანდელ მსოფლიოში ენათა კვლევა ძალიან აქტუალურია, ენისა და დიალექტის საკითხი მნიშვნელოვანია. მათი გამიჯვნის კრიტერიუმები ჯერ კიდევ სადაოა მეცნიერთა შორის და ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი დაგვეხმარება, გავარკვიოთ, რა არის ენა, რა არის დიალექტი, რა მნიშვნელობა აქვს ენისა და დიალექტის ურთიერთმიმართებას ენობრივ პოლიტიკაში და ზოგადად ქვეყნის პოლიტიკურ საკითხებში**.

დოქტორანტების გამოსვლებს მოჰყვა დისკუსიები. დაისვა არაერთი კითხვა. აღვნიშნავთ, რომ სემინარი ორგანიზებული იყო განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ.

ლიკა ზაზაშვილი

მირზა მდივანი: ჯერი ახალგაზრდებზეა – მათ უნდა შექმნან ქართულენოვანი პროგრამები

„ჩემს დედ-მამას დაქორწინებიდან სამი წლის განმავლობაში შვილი არ შესძენიათ. მე დავბადებულვარ 1933 წლის 28 აგვისტოს, რასაც მთელი ოჯახის უდიდესი სიხარული გამოუწვევია. ყველას განსაკუთრებულად მე ვუყვარდი და თავს მევლებოდნენ“. *– ვკითხულობთ მირზა მდივანის ავტობიოგრაფიულ წიგნში* ***„მოგონებათა ხიბლი და სევდა“****. წიგნში ბატონი მირზას წინაპრებზე, საქმიანობასა თუ შთამომავლებზე ბევრს შეიტყობთ. საკუთარ დამსახურებასა და საქმიანობაზე კი მორიდებით საუბრობს.*

ყველასათვის საყვარელი ადამიანი არაერთი კომპიუტერული პროგრამის ავტორია. ერთ-ერთ პროგრამას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების პროცესშიც იყენებს. ის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს დაპროგრამების საფუძვლებს ასწავლის. ბავშვობიდანვე განსაკუთრებული სიყვარული ბატონ მირზას შვილების, შვილიშვილების, მეგობრების, კოლეგებისა თუ სტუდენტების მხრიდან მთელი ცხოვრების მანძილზე თან სდევს.

მალე ბატონ მირზას 85 წელი შეუსრულდება. ვულოცავთ მას საიუბილეო თარიღს. ახლა, ბოლო დროს შექმნილი პროგრამების თაობაზე, თავად ბატონი მირზასგან შევიტყოთ.

– ბატონო მირზა, თქვენ ხართ პროგრამისტი, ქმნით კომპიუტერულ პროგრამებს. რა სიახლეები გაქვთ ამ მხრივ?

– პროგრამებს იმ დროიდან ვწერ, როდესაც ჩვენთან ალგორითმული ენები შემოსული არ იყო. მაშინ პროგრამა იწერებოდა კოდებით – ნულებითა და ერთებით. ერთი ციფრი რომ შეგშლოდა, პროგრამა არ იმუშავებდა. ასეთი სახით პროგრამის დაწერა რთული იყო. შემდეგ შემოვიდა ალგორითმული ენები. ალგორითმული ენის დანიშნულება არის ის, რომ პროგრამისტმა პროგრამა დაწეროს არა ნულებითა და ერთებით, არამედ ტექსტის სახით. ამჟამად პროგრამებს ვწერ ალგორითმულ ენაზე C№-ზე. ეს ენა მოხერხებულია. ამ ენამდე დიალოგი კომპიუტერთან შეგვეძლო მხოლოდ ინგლისურ ენაზე. C№-ში ქართულად შეგვიძლია კომპიუტერთან დიალოგი. სწორედ ამ ენაზე მაქვს ბოლო დროს რამდენიმე პროგრამა შექმნილი. პროგრამებთან დაკავშირებით წიგნიც გამოვუშვი სახელწოდებით **„დაპროგრამება მონოლითურიდან ობიექტორიენტირებულ პროგრამებამდე“**. როდესაც პროგრამას შევადგენთ, თუ ის პროგრამა მხოლოდ ერთ ერთეულს და ერთ ფუნქციას წარმოადგენს, ამ პროგრამას მონოლითური ეწოდება. თუ ეს პროგრამა, გარდა ერთისა, კიდევ შეიცავს სხვა ფუნქციებს, რომლებსაც ქვეპროგრამებს უწოდებენ, პროგრამას ეწოდება სტრუქტურული. თუ პროგრამაში აღწერილი გვაქვს კლასის ტიპი და კლასის შესაბამისი ობიექტები, ასეთ შემთხვევაში პროგრამას ეწოდება ობიექტ-ორიენტირებული. ამიტომ, ჩემს წიგნს დავარქვი სახელად მონოლითური და ობიექტ-ორიენტირებული პროგრამები. ვისაც უნდა პროგრამირება შეისწავლოს, ყველა ეს საფეხური უნდა გაიაროს, ისე ვერ განვითარდება. ჯერ მონოლითური პროგრამა უნდა შექმნას, შემდეგ სტრუქტურული და ასე შემდეგ.

– ახსენეთ წიგნი, რომელსაც საზოგადოება მალე იხილავს. გვესაუბრეთ იმ პროგრამებზე, რომლებიც წიგნში გაქვთ შეტანილი.

– მინდა აღვნიშნო, რომ წიგნში შეტანილ პროგრამებთან დაკავშირებით, მოცემულია ინსტრუქციებიც, თუ როგორ გაუშვას მომხმარებელმა ეს პროგრამები, როგორ გადასცეს მონაცემები. წიგნს თან ერთვის კომპაქტ-დისკი, სადაც ეს პროგრამებია ჩაწერილი.



ჩემ მიერ შექმნილი ერთ-ერთი პროგრამა, რომელიც C№-ზეა დაწერილი, არის **„სტატისტიკის“** პროგრამა. ის ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გამოიყენოს. პროგრამა სტატისტიკურ სიდიდეებს თვლის. შემდეგი პროგრამა გახლავთ მათემატიკური პროგრამა, რომელსაც ჰქვია **„რეგრესია.“** მათემატიკაში არსებობს რეგრესიის მეთოდი. თუ გვაქვს მოცემული ფუნქცია, ჩვენ ამ ფუნქციის საფუძველზე შეგვიძლია ავაგოთ ცხრილი. მაგრამ, საკმაოდ რთულია, როდესაც ცხრილი გაქვს და ფორმულა არ არის. ეს პროგრამა სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს. გადასცემ ცხრილს და დაგიწერს ფორმულას.

საინტერესოა, ასევე, **„სწავლებისა და ტესტირების პროგრამა“**. მას აქვს ორი რეჟიმი – სწავლისა და გამოცდის. პროგრამაში იმ საგანთა ჩამონათვალია, რომელსაც მე ვასწავლი, მაგრამ იმისათვის, რომ ეს პროგრამა გამოყენებული იქნას სხვა სპეციალობისთვის, ამ შემთხვევაში საჭიროა, შევადგინოთ შესაბამისი ტესტები. პროგრამას საინტერესო ფუნქციები აქვს. ამ პროგრამას ვიყენებ სწავლების პროცესში. ასევე, ჩვენი ახალგაზრდა ლექტორები ნინო ბერიძე, ჯულიეტა ტაბეშაძე, პაპუნა თამარაშვილი იყენებენ ამ პროგრამას. წიგნში შეტანილი მაქვს წრფივი ალგებრის ამოცანათა პროგრამული უზრუნველყოფის პროგრამაც. ვფიქრობ, ეს პროგრამები ბევრ დაინტერესებულ პირს დაეხმარება, გაიმარტივოს საქმიანობა.

– სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თქვენ კავშირზე მოგვიყევით. რამდენი წელია, რაც ამ უნივერსიტეტში მუშაობთ?

– 12 წელია, ამ უნივერსიტეტში ვასწავლი. ივანე ჯავახიშილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვმუშაობდი. ადრე აქ ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეკანი იყო აწგარდაცვლილი ვასილ კაკულია. მან მთხოვა, რომ ერთი სემესტრი წამოვსულიყავი ლექციების წასაკითხად. ამ ერთ სემესტრს 12 წელი მოჰყვა. ძალიან მომწონს აქაურობა. არაჩვეულებრივი, თბილი ხალხია. სტუდენტებიც ძალიან კარგები არიან, ძალიან ზრდილობიანი და სწავლისადმი მოტივირებულები. ბევრი სტუდენტი აღვზარდე და მიხარია, რომ ისინი კითხულობენ უკვე ლექციებს. უნივერსიტეტში დაპროგრამების საფუძვლებს ვასწავლი. ეს კურსი იკითხება რამდენიმე სემესტრის განმავლობაში.

– ბატონო მირზა, საინტერესო პროფესიული გზა განვლეთ. როგორია ეს გზა ახალგაზრდობიდან დღემდე?

– თავდაპირველად, მუშაობა დავიწყე კიბერნეტიკის ინსტიტუტში. სპეციალობით ვარ მათემატიკოსი და, საერთოდ, მათემატიკოსი და ფიზიკოსი უფრო მიზანშეწონილია გახდეს პროგრამისტი, რადგან ეს სფერო მათემატიკისა და ლოგიკური აზროვნების სინთეზს მოითხოვს. ამ სფეროთი თავიდანვე დავინტერესდი. კომპიუტერები ახალი შემოსული იყო. მაშინ უწოდებდნენ მათემატიკურ მანქანებს. მაშინ პროგრამებს კოდებით ვქმნიდი. შემდეგ გადავედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იქ 25 წელი ვმუშაობდი. კათედრა, სადაც ვმუშაობდი,ფიზიკის ფაკულტეტზე ფუნქციონირებდა და ეწოდებოდა მიკროპროცესორული სისტემების კათედრა. ამ კათედრაზე ნიჭიერ ახალგაზრდებს მოგვიყარეს თავი. მეამაყება, რომ მაშინდელი ჩვენი გაზრდილი სტუდენტები ახლა მთელ ევროპაში არიან გაფანტული და არიან საკმაოდ წარმატებულები. სამწუხაროდ, კათედრა გარკვეულ მიზნებს შეეწირა და გაუქმდა.

– რითი ამაყობთ ყველაზე მეტად?

– შვილებით და შვილიშვილებით. ორი შვილიშვილი მყავს, ქალიშვილის მხრიდან – ნიკოლოზ ალავიძე, ვაჟის მხრიდან – გიორგი მდივანი. ნიკოლოზმა დაამთავრა უნივერსიტეტი და კარგი სპეციალისტია. გიორგი მერვე კლასშია. მათ ჩემი სფერო არ ხიბლავდათ, მაგრამ კომპიუტერით მაინც დავაინტერესე. გიორგის მათემატიკაც შეუყვარდა. მე ჩემი შვილებით ვამაყობ. ქალიშვილს – მარინეს, დამთავრებული აქვს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ვაჟიშვილს – მირიანს, როგორც პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, ასევე, იურიდიული ფაკულტეტი. ის არაჩვეულებრივი პიროვნებაა. ხომ არის ნათქვამი – ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო. ვამაყობ, რომ ეს ნამდვილად ასეა.

– 85 წლის იუბილე გიახლოვდებათ. რას ნიშნავს თქვენთვის ეს თარიღი? რამდენი ბედნიერი და, ამავდროულად, რთული დღე იქნებოდა თქვენს ცხოვრებაში...

– დიდი ბედნიერება არის, რომ ის ადამიანები, ვინც მე მიყვარს, კარგად არიან და კარგად ცხოვრობენ. უბედურება არის ის, რომ რამდენიმე ჩემთვის ძვირფასი ადამიანი აღარ არის ამ ქვეყანაზე. განსხვავებული პერიოდები გავიარე. ახლა კარგი ეპოქა დადგა. ტექნიკურმა პროგრესმა, კომპიუტერების შემოსვლამ გაამარტივა და გააუმჯობესა ადამიანთა საქმიანობა.

– რას ეტყოდით ახალგაზრდებს?

– მე ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებს მივმართავდი, რომ მეტი მოინდომონ, კარგად დაეუფლონ პროგრამირების საფუძვლებს, რათა ადგილზე შეიქმნას სხვადასხვა პროგრამები. არსებობს უამრავი პროგრამა, რომლებიც საზღვარგარეთიდანაა შემოტანილი. დიალოგი კომპიუტერთან არის ინგლისურენოვანი. თანაც, კომპიუტერთან რომ მუშაობ, აჭრელებულია სხვადასხვა იარლიყებით. მისი ინსტრუქცია – როგორ იმუშაო ამა თუ იმ პროგრამასთან, მარტივი არ არის. ახლა ჯერი ახალგაზრდებზეა. მათ უნდა შექმნან გამარტივებული, ქართულენოვანი პროგრამები.

– მადლობა, ბატონო მირზა, საინტერესო საუბრისთვის.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

უნივერსიტეტში ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა გაიხსნა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირება დაიწყო „კრისტალის“ ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლამ. მეწარმეთა სკოლამ მიღება პროგრამა YES-Georgia-ს ფარგლებში, საქართველოს 7 ქალაქში – თელავში, თბილისში, გორში, ახალციხეში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში გამოაცხადა. ახალციხიდან განაცხადი 40-მდე ახალგაზრდამ შეიტანა და შერჩევის შედეგად, მეწარმეთა სკოლის პროგრამაში 14 მათგანი ჩაერთო.

„კრისტალის“ ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლაში სწავლება ხუთ ეტაპად ჩატარდება. სკოლა ახალგაზრდებს აძლევს წარმატებისა დაკონკურსში გამარჯვებული პროგრამების დაფინანსების შესაძლებლობას. სკოლაში სწავლა უფასოა.

სკოლის პირველი სამუშაო შეხვედრა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში 8 ნოემბერს ჩატარდა. ახალგაზრდების სამეწარმეო უნარ-შესაძლებლობების, დასაქმებისა და შემოსავლის გენერირების მხარდაჭერის პროგრამის შესახებ პრეზენტაცია გააკეთა პროგრამის ხელმძღვანელმა საქართველოში **ნინო ლაგვილავამ:**

აღნიშნულ სკოლაში სწავლება ახალგაზრდებზე ორიენტირებული პროგრამის მიხედვით განხორციელდება, რომელიც მათ სთავაზობს სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს მეწარმეობის ირგვლივ. ეს იქნება მათი უნარების განვითარება თუ სპეციალური თემატიკა. ახალგაზრდები ხუთ კურსს გაივლიან, რის შემდეგ, მეორე ეტაპზე გადასული მონაწილეები, თბილისის ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლაში განაგრძობენ სწავლას. ჩვენ დავეხმარებით ახალგაზრდებს, დაწერონ პროექტები, ჩამოაყალიბონ იდეები. მესამე ეტაპზე, შერჩევის საფუძველზე, მოხდება მათი ბიზნესპროექტების დაფინანსება.

ქალბატონმა ნინომ განაცხადა, რომ პროექტის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, დაფინანსდა 35 ბიზნესპროექტი და ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა 450-მა ახალგაზრდამ დაამთავრა. **ერთ-ერთი აქტიური საუნივერსიტეტო ქალაქია ახალციხე და წელს პირველად გავაკეთეთ აქცენტი ამ ქალაქზე და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტზე. უნივერსიტეტიდან ადმინისტრაციამ დიდი მხარდაჭერა გამოხატა. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ უნივერსიტეტთან მემორანდუმი გავაფორმოთ და პროექტის ფარგლებში სწორედ ამ უმაღლეს დაწესებულებასთან გავაგრძელოთ თანამშრომლობა.** – აღნიშნა მან.

ქალბატონი ნინოს განმარტებით, კონკურსის წესით არა მხოლოდ სკოლის მონაწილეები, არამედ მენტორებიც შეირჩნენ. **ერთ-ერთი გახლავთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი როინ თათეშვილი,** რომელიც ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლაში სასწავლო კურსს უძღვება. **ჩემი და მსმენელების სახელით, მადლობა გვინდა მოვახსენოთ პროექტის ორგანიზატორებს, რადგან გადაწყვიტეს ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა ახალციხეში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაეხსნათ. მისასალმებელია, რომ სკოლის მონაწილეთა უმრავლესობა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. კვირაში ერთი დღე, სამი საათის განმავლობაში, მონაწილეები ეუფლებიან სამეწარმეო ცოდნას და მისი გამოყენების ინოვაციურ ფორმებს. ვფიქრობ, ამ სკოლაში ჩართვა ახალგაზრდებისათვის არის უნიკალური შესაძლებლობა, ისწავლო უფასოდ და დაეუფლო მეწარმისათვის აუცილებელ უნარებსა და ინსტრუმენტებს და ამავე დროს, მოიპოვონ ბიზნეს იდეის განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსება. ჩემს მიერ გასამართ ტრენინგებზე პროექტის მონაწილეები მოისმენენ მეწარმის პიროვნული თვისებების გამომუშავების, პროდუქტისა და ბაზრის თავსებადობის, ბიზნეს-მოდელის ტილოს შექმნის შესახებ ლექციებს. ადგილზე შეასრულებენ სხვადასხვა აქტივობებს და, ასევე, მიეცემათ დავალებები. ისინი ისწავლიან, თუ როგორ უნდა შეძლონ რესურსებისა და პარტნიორების მოძიება, ასევე, ფინანსებისა და რესურსების დაგეგმვის გზები და სხვა. მათ ჩამოუყალიბდებათ შეხედულებები, თუ რა მიმართულებით სურთ თავიანთი სამეწარმეო საქმიანობის წამოწყება, რაც მნიშვნელოვანია.** – აღნიშნა ბატონმა როინმა და ახალგაზრდებს შემდგომ ეტაპზე წარმატებები უსურვა.

პროგრამის განხორციელებას ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარებისსააგენტო (USAID).

ჩვენი კორესპონდენტი

ქართული ხასიათი
ისტორიულ-ფსიქოლოგიური ნარკვევი

უჩა ბლუაშვილი
პროფესორი

გაგრძელება.
დასაწყისი მე-9 ნომერში

ნაწილი მეორე

საქართველო აღმოსავლურ და დასავლურ კულტურულ სამყაროებს შორის გზასაყარზე მდებარეობს. ჩვენი კულტურაც და, შესაბამისად, ჩვენი ეროვნული მენტალიტეტიც ამ ორი კულტურის სინთეზს წარმოადგენს. ოღონდ, ეს არ არის აღმოსავლური და დასავლური კულტურების მექანიკური ჯამი. ქართველებმა საუკუნეების განმავლობაში შეითვისეს და შეისისხლხორცეს აღმოსავლური სამყაროს უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა, ჰარმონიულად შეუხამეს ის დასავლურ ქრისტიანულ კულტურას. ეს ყველაფერი შემდეგ ქართულ ეროვნულ ქურაში გამოატარეს, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა სრულიად ორიგინალური, თვითმყოფადი კულტურა, რომლის ერთ-ერთ გამოხატულებას ქართული ეროვნული ცნობიერება, ეროვნული ხასიათი წარმოადგენს.

აღმოსავლური და დასავლური კულტურების გავლენა ჩვენი მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში იგრძნობა. აღმოსავლეთთან შედარებით ჩვენ, რა თქმა უნდა, ევროპელები ვართ. მაგრამ ევროპელებთან უშუალო კონტაქტისთანავე ვგრძნობთ, რომ მათგანაც მნიშვნელოვნად განვსხვავდებით. და, არა მხოლოდ წმინდა ქართული, აბსოლუტურად თვითმყოფადი, არამედ – გაცილებით ზოგადი წარმომავლობის ნიშან-თვისებებითაც. (გ. ასათიანი).

საქართველოში ძლიერი ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება ისტორიულად მეტად ხანმოკლე დროის მანძილზე – მხოლოდ ფარნავაზის დროს და დავითიდან თამარის ეპოქამდე გვქონდა. დავითი მკაცრად განსჯიდა სახელმწიფო წესისა და რიგის დამრღვევთ, განსაკუთრებით შეუბრალებელი იყო იგი ქვეყნის ინტერესების გამყიდველთა მიმართ. ქართულმა სახელმწიფომ თავისი ძლიერების ზენიტს თამარის ეპოქაში მიაღწია. სწორედ მაშინ შეიქმნა იდეალური პირობები ქვეყანაში სახელმწიფოებრივი აზროვნების დამკვიდრების, სახელმწიფო წესისა და რიგის განმტკიცებისთვის. სამწუხაროდ, ამ დროს სახელმწიფოს ძალისხმევა ამ მიმართულებით, ერთგვარად, მოდუნდა. სათნო მეფე-დედოფალმა ქვეყანაში შუა საუკუნეებისთვის სრულიად უცხო სახელმწიფოებრივი ჰუმანიზმი დაამკვიდრა. მან, პრაქტიკულად, გააუქმა სიკვდილით დასჯა (სიკვდილით დასჯის კანონი არ გაუქმებულა. მოსამართლეებს ასეთი განაჩენები გამოჰქონდათ კიდეც. მაგრამ თამარს არცერთი მათგანი არ დაუმტკიცებია. შესაბამისად, სიკვდილითაც არავინ დაუსჯიათ).

ეს მაშინ, როცა მაშინდელ თუ უფრო გვიანდელ ევროპაში, რუსეთში, აღმოსავლეთის დესპოტურ სახელმწიფოებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სიკვდილით დასჯა მართლმსაჯულების ჩვეულებრივი ნორმა იყო. სახელმწიფოს წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვისთვის კი მოქალაქეს წამებით ხდიდნენ სულს. ამას ერთადერთი მიზანი ჰქონდა: ცოცხლად დარჩენილთა დაშინება.

თამარის საქართველოში კანონისადმი რიდისა და პატივისცემის ჩამნერგავი შიშის ნაცვლად, აქცენტი პიროვნების მოქალაქეობრივ შეგნებაზე გაკეთდა. ეს საკითხისადმი ჰუმანური, ცივილიზებული მიდგომა იყო, მაგრამ დროის კონტექსტიდან ამოვარდნილმა ამ ნაბიჯმა კანონისადმი აგდებული დამოკიდებულების დანერგვას შეუწყო ხელი.

სახელმწიფოებრივი შეგნების განმტკიცების მთავარი საფუძვლის – ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების მოშლის შემდეგ მეტი გასაქანი ადათ-წესების, ტრადიციების ინსტიტუტის განვითარებას მიეცა. კანონზე მეტად პატიოსნება დაფასდა. ამოიძრობდა კაცი ულვაშის ღერს და ისესხებდა თანხას. გამსესხებელს კი არც თამასუქი სჭირდებოდა და არც მამასახლისის მიერ დამოწმებული ხელწერილი – ჯიბეში მოვალის ულვაშის ღერი ედო და გულიც საგულეს ჰქონდა.

მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში“ არის ასეთი ეპიზოდი: ზაალ ბარათაშვილი თავის ყმას ხანჯლით ყურს ჩამოათლის. თავად ვიღაც უსაყვედურებს – რას ერჩოდი ამ საცოდავსო. ის კი წარბშეუხრელად პასუხობს: „რა გინდა ვეჟო, ყმა ჩემია და მისი ყურიც მე მეკუთვნის, როგორც მინდა ისე მოვეპყრობიო.“ დიახ, ზაალ ბარათაშვილმა არ იცოდა და არც აინტერესებდა, რა ეწერა ამის თაობაზე სამართლის წიგნში. ისე იქცეოდა, როგორც საკუთარი ჭკუა და ზნეობა უჭრიდა.

ამის მიუხედავად, მაშინ, ავად თუ კარგად, ჩვენი თავი ჩვენადვე „გვეყუდნოდა“ და ქვეყნის საუკეთესო შვილები გამუდმებით ფიქრობდნენ სამშობლოს ბედზე. მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. უზარმაზარი სახელმწიფოს მარწუხებში მოხვედრილი სამშობლოს ხსნის იმედი გადაგვეწურა. „სამშობლოს ვეღარაფერს ვუშველით. ისღა დაგვრჩენია – საკუთარ ოჯახებს მაინც მივხედოთო“, – ჩათვალა ქართველობამ (ცხადია, იყვნენ გამოუსწორებელი ოპტიმისტებიც, მაგრამ ისინი ამინდს ვერ ქმნიდნენ.) ასეთ პირობებში სახემწიფოს განცდა, პრაქტიკულად, მოიშალა. მოქალაქეობრივი მოვალეობები უკანა პლანზე გადავიდა. საბოლოოდ, სწორედ მაშინ გავთითოკაცდით....

ორი საუკუნე ამ მორალით, ამ შეგნებით ვიცხოვრეთ. ერთადერთ საზრუნავად საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა გავიხადეთ... ქართველისთვის დღეს საკუთარი ბინის ზღურბლი ერთგვარი წყალგამყოფია: ბინის შიგნით იდეალური სისუფთავე და წესრიგი, ბინის გარეთ კი – სადარბაზოდანვე დაწყებული სიბინძურე და უწესრიგობა ჩვენი დეფორმირებული მენტალიტეტის ცოცხალი გამოხატულებაა.

„ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრება ქართველმა ხალხმა ისე გაატარა, რომ სისტემატურად, განუწყვეტლივ თითქმის ორი საუკუნე არ ცხოვრობდა წესიერ სახელმწიფოებრივ პირობებში და ამიტომ, ცხადია, ქართველის სულში არ არის არავითარი მოთხოვნილება სისტემისა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იშვიათად შეგხვდებათ კულტურულ ხალხში ისეთი ადამიანი, რომელიც აგრე აუტანელი იყოს საზოგადოებაში, როგორც ქართველი... საზოგადოებრივ ინტერესებს ქართველი უპირისპირებს ჯგუფურ, ან პერსონალურ ინტერესებს – ძმაბიჭობის კულტს,“ – წერს კონსტანტინე კაპანელი.

კანონისადმი ქართველთა უდიერ დამოკიდებულებაში გარკვეული წვლილი, უსათუოდ, ქართველთა მკვეთრად გამოხატულ ინდივიდუალიზმსაც მიუძღვის. ერთი მხრივ ის, რომ თითოეული ქართველი თავისი ინდივიდუალიზმით პიროვნებაა, ცხადია, ღირსებაა, მეორე მხრივ, ჩვენი ეს თვისება ხელს გვიშლის ეროვნული ენერგიის კონცენტრაციაში. გაცილებით იოლია მილიარდნახევარი ჩინელის ენერგიის ერთი მიზნისკენ წარმართვა, ვიდრე სამი მილიონი ქართველის ძალისხმევის გაერთიანება. საკმარისია ბელადმა ბრძანოს და ჩინეთში მყისვე ყველა მარჯვნივ შეტრიალდება. ჩინელებს ესმით: ბელადი, თუნდაც მათთვის არასასურველი, მაინც უფროსია და მისი ბრძანების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ეს სიბრძნე მათ აღმოსავლური დესპოტიის სასტიკ საუკუნეებში მყარად შეითვსეს. საქართველოში კი უფროსის ბრძანებას აუცილებლად აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვება: ერთი იტყვის – რატომ მარჯვნივ, როცა მარცხნივ შეტრიალება სჯობსო, მეორე – მაგას, საერთოდ ვინ ჰკითხავსო, მესამე – რა დროს ტრიალია, ხომ არ მოსცლიაო და ა. შ.

არადა, თუნდაც მარჯვნივ შებრუნების ბრძანება მცდარი იყოს, ერთი მიმართულებით წარმართული საერთო ენერგია ბევრად სჯობს ასე ყველას ჭკუაზე მიტრიალ-მოტრიალებული, გათითოკაცებული ერის ენერგიას.

ქართული სულის სიძლიერე ყველაზე კარგად ჩვენს გუნდურ ხალხურ სიმღერებში და ცეკვებში ვლინდება. ოღონდ, როგორც გურამ ასათიანი აღნიშნავს, **„ქართულ გუნდშიც მთავარი თავისთავად თანხმიერება კი არ არის, არამედ ის, რომ ეს არის პოლიფონიური თანხმიერება – ანუ ისეთი თანხმიერება, რომელიც თავის თავში აუცილებელ სხვადასხვაგვარობას გულისხმობს.**

ერთხმოვანება, ერთგვაროვნება, ერთსახოვნება საფუძველშივე მიუღებელია ჩვენი ესთეტიკურ მსოფლმხედველობისთვის.

ასეთია ქართული სიმღერაც, ქართული პეიზაჟიც, ქართული ხუროთმოძღვრებაც, ქართული ვერსიფიკაციაც: ხოლო ქართველური ტომების ხასიათები ხომ ნამდვილად პოლუსებისგან შედგება (ამ უკანასკნელთა მიხედვით ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ქართველები ყველაზე მეტად ერთმანეთს არა ჰგვანან).

ჩვენ სიჭრელეს ვერ ვიტანთ (თუ რაიმე ბოლომდე ვერ მივიღეთ აღმოსავლური კულტურიდან, პირველ რიგში, სწორედ სიჭრელის კულტი). მაგრამ ვერც ერთგვაროვნებას ვეგუებით. მონოტონურობა ისევე გვიხუთავს სულს ცხოვრებაში ... როგორც აზროვნებასა და მხატვრულ შემოქმედებაში..

ჩვენი იდეალი ერთმანეთისგან განსხვავებულ, ერთმანეთისგან განზიდულ ერთეულთაგან შემდგარი კონტრაპუნქტია. „სიჭრელისა“ და „ერთგვაროვნების“ არა უბრალოდ ნაზავი, არამედ თვისობრივად ახალი, განსხვავებული სინთეზი“.

ესეც ქართული ხასიათის ორპოლუსიანობის, მისი ორბუნებოვანების გამოხატულებაა.

ინდივიდუალიზმისგან უნდა იღებდეს სათავეს ქართული ხასიათის კიდევ ერთი თვისება – ამპარტავნობაში და თავხედობაში გადაზრდილი თავდაჯერებულობა. ქართველთა ამ თვისებაზე ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში მასზე ყურადღება კონსტანტინე კაპანელმა გაამახვილა. **„ჩვენს ხასიათში არის რაღაც ისტორიულად შეძენილი თავხედობა, ერთგვარი პრანჭიაობა – „ნახალობა“,** – წერდა ის. და მართლაც, ქართველი კაცის თავდაჯერებულობა, ეგოიზმი, თავხედობა ხშირად ყოველგვარ დასაშვებ ზღვარს სცილდება. გააჩერეთ ქუჩაში ნებისმიერი რიგითი ქართველი და ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობა შესთავაზეთ. ნუ გგონიათ რომელიმემ უკან დაიხიოს – ჩემი ცოდნა და გამოცდილება მაგ საქმეს ვერ შეწვდებაო, გითხრათ. პირიქით – აქამდე სად იყავითო, გეტყვიან.

ქართული ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებას თავისი დაღი დაასვა საუკუნეების განმავლობაში ჩვენში გაბატონებულმა სეპარატისტულმა განწყობილებებმა. **„კუთხური სხვაობა და თავისებურება ქართველში ქმნიდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში კუთხურ ფსიქოლოგიას, პროვინციალობის კულტის, განკერძოებისა და განაპირების ჩვეულებებს“,** – წერდა კონსტანტინე კაპანელი. მნიშვნელოვანწილად, ამის შედეგიც უნდა იყოს ჩვენთვის ესოდენ დამახასიათებელი ურთიერთგაუტანლობა, კინკლაობა და შუღლი. ამასთან, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველი ხალხი არაერთხელ დამდგარა ფიზიკური არსებობა-არარსებობის, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე. და სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში ის ყოველთვის ახერხებდა თავისი ფიზიკური და სულიერი ენერგიის მობილიზებას. გარეშე საფრთხისგან დაცვის მექანიზმი, თვითშენახვის ინსტიქტი ქართველ ხალხში სწორედ კრიტიკულ სიტუაციებში ამოქმედდებოდა ხოლმე.

მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლება. ამჯერად მხოლოდ ერთზე შევჩერდები: მე-17 საუკუნის შუახანებში ფიზიკური გადაშენების საფრთხე კახელებს დაემუქრა. შაჰ-აბასმა ალაზნის ველზე თურქმენული ელები (ტომები) ჩამოასახლა, რომლებიც მოკლე ხანში კალიებივით მოედვნენ მთელ კახეთს. ვენახი გაიკაფა, კახეთის მდიდარი ველ-მინდვრები ამ მომთაბარე ტომების ცხვრების საძოვრებად იქცა. ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ეს კარგად არის ასახული: **„ბახტრიონს სხედან თათრები,/ სიტყვას ამბობენ ძნელსაო:/ ახმეტას ჩავჭრით ვენახსა,/ შიგ ჩავასახლებთ ელსაო.“**

მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა ჩვენს მთასაც, რადგან ზამთრის საძოვრებისკენ კახეთზე გამავალი საქარავნო გზა მათთვის გადაჭრილი აღმოჩნდა.

ცხადი იყო, რომ კახელთა ფიზიკური გადაშენების შემდეგ ქართლელთა ჯერი დადგებოდა. ქართლ-კახეთის გარეშე კი დასავლეთ საქართველოსაც იგივე ბედი ელოდა.

აი, ამ კრიტიკულ მომენტში ქართველ ხალხში კვლავ გაიღვიძა თვითგადარჩენის ინსტიქტმა. გამოჩნდნენ გმირები, რომლებმაც ითავეს ცალკეულ სამეფო-სამთავროებში ჩაკეტილი და ურთიერთთან კინკლაობას გადაყოლილი ქართველების გაერთიანება. ზაალ ერისთავის, ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ბიძინა ქსნის ერისთავების, ზეზვა გაფრინდაულის, ნადირა ხოშარაულის და სხვა ქართველ გმირთა ხელმძღვანელობით 1660 წელს აჯანყებულმა ქართველებმა ერთიანად გაავლეს მუსრი ყიზილბაშებს. თავზარდაცემული თურქმენები კახეთიდან გადაიხვეწნენ.

ამ ბრძოლაში ქართველებმა მათთვის სრულიად უჩვეულო სისასტიკე გამოიჩინეს. მემატიანე წერს, რომ ისინი არც ქალს და არც ბავშვს არ ინდობდნენო.

ქართველთა ასეთი სისასტიკე ძნელი ასახსნელია, მაგრამ ფაქტია, რომ როდესაც გააფთრებულმა შაჰ-აბასმა თურქმენების კახეთში კვლავ დაბრუნება მოინდომა, ისინი მას ფეხებში ჩაუვარდნენ: აქვე დაგვხოცეთ, მაგრამ იქ დამბრუნებელი კი აღარა ვართო. ირანის შაჰი იძულებული გახდა თავის განზრახვაზე ხელი აეღო. თურქმენთა მეორედ ჩამოსახლების შემთხვევაში კი, ძნელი სათქმელია, გვეყოფოდა თუ არა ძალა ხელმეორედ მათ განსადევნად.

ქართველთა მიერ მაშინ გამოჩენილ უჩვეულო სისასტიკეს, ამ კონტექსტში, თითქოს, მისტიკური მნიშვნელობა ეძლევა. რაღაც ინსტიქტმა უბიძგა ქართველებს უარი ეთქვათ მათთვის ესოდენ დამახასიათებელ ლმობიერებაზე და მათივე ხასიათის წინააღმდეგ წასულიყვნენ.

ნაწილი მესამე

ორი სამყაროს გზაჯვარედინზე მდებარეობამ ჩვენს ქვეყანას, სიკეთესთან ერთად, მრავალი თავსატეხიც გაუჩინა. უხსოვარი დროიდან ვინ აღარ შემოხეტებულა საქართველოში. ბევრი მოყვრულად მოდიოდა, უფრო მეტი – მტრულად. უცხოტომელთ აქ წარმტაცი ბუნება და ბარაქიანი მიწა იზიდავდათ. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით მე-6 საუკუნეში დასახლდნენ ჩვენს მიწაზე ბაბილონელთაგან დევნილი ებრაელები. მოგვიანებით საქართველოში ბერძენთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა, ქურთთა, რუსთა და სხვა ეთნოსთა მასობრივი დასახლებები გაჩნდა. საუკუნეთა მანძილზე უცხოტომელებთან გვერდიგვერდ ცხოვრებამ ქართველებს მათთან ურთიერთობის მაღალი კულტურა გამოუმუშავა. აქედან იღებს სათავეს ჩვენი შემწყნარებლობა, რასაც თითქმის, ყველა უცხოელი მკვლევარი აღნიშნავს. საქართველოში არასოდეს ჰქონია ადგილი რომელიმე ეთნოსის დევნა-შევიწროებას. ჩვენ სრულ რჯულთშემწყნარებლობას ვამჟღავნებდით სომხურ-გრიგორიანული, კათოლიკური, მაჰმადიანური თუ იუდეური რელიგიების მიმართაც. ქსენოფობია, საერთოდ, უცხოა ქართული ხასიათისთვის. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველებსა და ოსებს, ქართველებსა აფხაზებს შორის ჩამდგარი სისხლის გუბეების მიუხედავად, აფხაზებისა და ოსების მხრივ ქართველების მიმართ გამომჟღავნებული უმადურობის მიუხედავად, ქართველ კაცში აფხაზისა და ოსის სიძულვილმა ვერ იხარა. რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული პირდაპირი აგრესიის, მის მიერ ქართული მიწების ოკუპაციის მიუხედავად, ვერც რუსოფობიამ მოიკიდა ჩვენში ფეხი.

ეს არც გულუბყვრილობით მოგვდის და არც უჭკუობით. მუხთლობასაც კარგად ვხედავთ და ვერაგობასაც ვამჩნევთ. ისიც ნათლად გვაქვს გაცნობიერებული, თუ რა ძვირად გვიჯდებოდა ეს ჩვენი ზღვარსგადასული შემწყნარებლობა.

და მაინც, ცუდს უფრო ადვილად, მე ვიტყოდი, ერთგვარი ხალისითაც ვივიწყებთ, ვიდრე კარგს. ქართველ კაცს მტრობა და შურისძიება სიამეს ვერ გვრის. ვერაგობას ადვილად პატიობს, სიკეთე კი ნაღრძობივით ახსოვს და სამაგიერო მადლის მიგების ნიჭი ჭიასავით ღრღნის... ასეთები ვართ. და, „რამდენჯერაც არ უნდა წავიმტვრიოთ კისერი, ჩვენ ამ ჩვევას ვერ მოვიშლით“ (გ. ასათიანი).

კიდევ რა თვისებები ახასიათებს ზოგად ქართველს, რა განასხვავებს მას დანარჩენი ეთნოსებისგან?

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს არის არტისტიზმი, თეატრალური ბუნება. ქართველი არ ცხოვრობს – ის ცხოვრებას თამაშობს. მისი ნებისმიერი ქცევა სხვათა შეფასებაზეა გათვლილი. სპექტაკლია ჩვენი სუფრა, ქორწილისა და დაკრძალვის რიტუალები. გურამ ასათიანი ამას ქართველი კაცის ყოველივე ამაღლებულისკენ, „პათეტიკურისკენ“, შემოქმედებისკენ, ხელოვნებისკენ თანდაყოლილ სწრაფვას უწოდებს. თუმცა, უკანასკნელ როლს არც ჩვენთვის ესოდენ დამახასიათებელი სხვის თვალში თავმოწონების სურვილი ასრულებს. გავიხსენოთ, როგორ მოითხოვდნენ მონღოლთა ომებში გაწვეული ქართველები მონღოლებისგან ბრძოლის დაწყების უფლებას. უარის შემთხვევაში კი საშინლად ნაწყენდებოდნენ. არადა, სხვის ომში, მით უმეტეს, შენი დამპყრობლის ომში, რატომ უნდა გინდოდეს ბრძოლის ქარცეცხლში პირველს გადაშვება? ეს ხომ შენი ომი არ არის... მაგრამ... ხომ უნდა ეთქვათ მონღოლებს – რა თავგანწირული და უებრო მეომრები არიან ეს ქართველებიო...

ქართველი კაცის მუდმივად სცენაზე ყოფნის სურვილი ერთ ასეთ ანეგდოტშია ასახული: კითხვაზე – თუ დაამყარებდი ინტიმურ კავშირს კიმ ბესინჯერთან უკაცრიელ კუნძულზეო, გაოცებული ჭიჭიკია პასუხობს: ვის მოვუყვე მერე, სიმონ, იქინეო.

ქართული ხასიათის ერთ-ერთი მთავარი **თვისება „სიკეთის დამსწავლელობა და მიმგებლობაა“** (ვახუშტი). სამაგიეროდ, ისტორიამ მრავლად შემოგვინახა ქართველთა სიკეთეზე უმადურობით მიგების მაგალითები. შორს ნუ წავალთ: ხალხი, რომელთა ახლო წინაპრები ქართველებმა თავიანთ მიწაზე ძმებივით მიიღეს, ცხოვრების მოწყობაში მიეხმარნენ, მათთან ჭირი და ლხინი გაიყვეს, დღეს ძირძველ ქართულ მიწას გვედავება.

ვახუშტი ბატონიშვილი ქართული ხასიათის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად უყაირათობაში გადაზრდილ ჩვენს გულუხვობას ასახელებს. „უხუნნი, არცა თვისსა და არცა სხვისას კრძალავენ“, – წერს ის. და, მართლაც, გალაღება-დარდიმანდობის, დროსტარების სურვილი ქართველ კაცს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. ისევ გურამ ასათიანს მოვუსმინოთ: „გავიხსენოთ, როგორ იწყება „არსენას ლექსში“ მთავარი გმირის დახასიათება:

„ქეიფი იმას უყვარდა,
გზებზე სუფრის გადაფენა...“

რომელი ლიტერატურული პერსონაჟის პორტრეტის ხატვა დაწყებულა ამ შტრიხით? მსოფლიოს რომელ ხალხს წარმოუსახავს თავისი რჩეული გმირი იმგვარად, რომ მისი ხასიათის, ვინაობის, რაობის უპირველეს ატრიბუტად ეს თვისება წარმომდგარიყო?

„ქეიფი იმას უყვარდა“... ეს გაშლილი ეპითეტი უბრალო დარდიმანდობას, ან, მით უმეტეს, მემთვრალეობისკენ ჩვეულებრივ მიდრეკილებას როდი აღნიშნავს. ეს ცოტა სხვაგვარი „ქეიფის“ სიყვარულია:

„გზებზე სუფრის გადაფენა“... ეს იმგვარი სილაღეა სულისა, რომელიც თავის თავში კი არ იხარჯება, არამედ საყოველთაოდ გაშლას, განფენას, სხვათა საამოდ და სასარგებლოდ დახარჯვას ლამობს...“ – წერს ის.

უკეთესად ვერ იტყვი. ქართველისთვის გალაღებული, მოქეიფე, გზებზე სუფრის გადამფენი, გულუხვად მომლხენი კაცი იდეალია. უპირველესად, ამიტომაც ხატავს ხალხური ზეპირსიტყვიერება ასეთი სიყვარულით არსენას პორტრეტს.

თუმცა, ისიც ხომ ცნობილია, რომ ნებისმიერი უკიდურესობა სისულელესთან მეზობლობს. ყველა ღირსება შეიძლება უაზრობაში გადაიზარდოს. სტუმართა პატივისცემა ქართველებს, პირველ რიგში, პირთამდე გადავსებული სუფრა გვგონია. ჩვენს შესანიშნავ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს ნაჩქარევად შემოვარბენინებთ ხოლმე, ჩვენი წარმტაცი ბუნებით ტკბობას არ ვაცლით. სუფრასთან მიწვევას ვჩქარობთ. აქცენტი პირის გემოზე გვაქვს გადატანილი. ამიტომაც, გაგვკენწლა მსუბუქად შესანიშნავმა თურქმა პოეტმა ნაზიმ ჰიქმეთმა. ჩვენს კითხვაზე: როგორ მოგეწონათ ჩვენი ბუნება და ხუროთმოძღვრებაო, გვიპასუხა: „ბუნებასა და ხუროთმოძღვრებაზე ვერაფერს გეტყვით, თქვენი რესტორნების ჭერზე კი დაწვრილებით შემიძლია ვისაუბრო, რადგან თქვენთან სტუმრობის დროს, უფრო ხშირად, მას ვუყურებდი ტუჩზე მიდგმული ყანწით ხელშიო“.

ქართული ხასიათის უცხოელი დამკვირვებელნი ჩვენს ისეთ უარყოფით თვისებებსაც აღნიშნავენ, როგორიცაა სიმამაცით ტრაბახი, უდარდელობა, სიზარმაცე (აიხვალდი), ლოთობა, გაიძვერობა, გარყვნილება (შარდენი) და ა. შ.

ტრაბახი უცხო ხილი ჩვენთვის ნამდვილად არ არის. უდარდელობა, თავშეუძრაობა ხომ არაერთხელ გამხადარა ჩვენი მარცხის მიზეზი. ქართველთა ლოთობაში უცხოელნი სუფრასთან დროსტარებისადმი ჩვენს მიდრეკილებას გულისხმობენ და ამაშიც მართალნი არიან. რაც შეეხება სიზარმაცეს, უცხოელთა დაკვირვება აქ აშკარად ზედაპირულია. ქართველი მართლაც, უნდილად, უინტერესოდ ეკიდება ხელოსნობას, ვაჭრობას. ტრადიციულად ამ დარგებს საქართველოში უცხოელნი (სპარსელნი, ბერძენნი, ებრაელნი, სომეხნი) მისდევდნენ. ქართველი გლეხი მუდამ თავის ბარაქიან მიწას ჩასციცინებდა. თავადაზნაურობა ან ქვეყანას იცავდა, ან ღრეობდა, ან რაღაც ამაღლებულისკენ, პათეტიკურისკენ მიისწრაფოდა... ამიტომაც რაინდული შემართება, ხელოვნება... კი ბატონო, მაგრამ ვაჭრობა და ხელოსნობა მის სულს არ ეცხებოდა. ვაჭრებისადმი ჩვენი დამოკიდებულება ჯერ კიდევ რუსთაველმა გამოხატა: „თქვენ ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, მამაცობის უმეცარნი,“ – ათქმევინებს ის ავთანდილს. ან, ავთანდილი რა მოსატანია, როცა თვით მცონარე და არაფრის მაქნისი ლუარსაბიც კი ვაჭრობას უკადრისობს: ეგ რა კაცია, გლეხები სავაჭროდ დაუდისო, – ამბობს ის თავის ძმის, დავითის მისამართით. რა გასაკვირია, რომ საზოგადოებრივი საქმიანობის ამ უმნიშვნელოვანესი, უაღრესად საჭირო დარგების მიმართ საუკუნეების განმავლობაში ასეთი დამოკიდებულების გამო ქართველებში ვაჭრობისა და ხელოსნობის კულტურა ნაკლებად განვითარდა. აბა, სთხოვეთ სომეხ დალაქს – მეტად ნუღარ აფხეკს უკვე სუფთად გაპარსულ სახეს. მანამდე არ მოგეშვებათ, სანამ თვითონ არ იგრძნობს კმაყოფილებას თავისი ხელობით. ქართველი დალაქი კი, თუკი წინააღმდეგი არ იქნებით, ნახევრად გაპარსულ სახეს შეგამშრალებთ...

მეტისმეტ უტრირებას ვახდენ. ცხადია, არც ასეა საქმე. მაგრამ იმის თქმა მინდა, რომ ქართველს ასეთი პროზაული საქმიანობა არანაირ სიამოვნებას არ ანიჭებს. ამიტომაც მისდამი მისი დამოკიდებულებაც შესაბამისია – ფორმალური, დაუდევარი, გულგრილი...

სამაგიეროდ, გვახსოვს – როგორ ბოლომდე იხარჯებოდა, პირდაპირ იწვოდა სცენაზე კოტე მარჯანიშვილი, როგორ გონების დაკარგვამდე ვერ გაიყვანეს ბრძოლის ველიდან დაჭრილი პეტრე ბაგრატიონი... მოხმობილი მაგალითები გამონაკლისებს არ წარმოადგენს. შემოქმედებითი საქმისადმი ქართველთა დამოკიდებულება, როგორც წესი, სწორედ ასეთია.

ქართველი მოწეულ მოსავალს „ჭირნახულს“, ანუ დიდი შრომის, ოფლის ღვრის ფასად მოპოვებულს უწოდებს. განა შვილივით ვაზის მომვლელ ქართველ გლეხს ზარმაცი ეთქმის? განა ზარმაცი ხალხი მცხეთის ჯვარს მთის მწვერვალზე ააშენებდა? ხალხს, რომელსაც სილამაზის, მშვენიერების ესთეტიური განცდა იმ დონეზე აქვს განვითარებული, რომ ყოველი გორაკის კონცხზე ეკლესიას ან ციხე-სიმაგრეს აშენებს, რათა შემდეგ ქვემოდან შეხედოს და მისი სილამაზით დატკბეს, ზარმაცი არ ეთქმის.

ქართული ხასიათის კონტრასტულობა განსხვავებული აზრისადმი ჩვენს დამოკიდებულებაშიც მჟღავნდება. ქართველთა უმრავლესობისთვის არსებობს მხოლოდ ორი აზრი – ერთი საკუთარი და მეორე – მცდარი. ჩვენ არა თუ საკუთარისგან განსხვავებული აზრის გაგება-გათავისების, არამედ მისი მოსმენის უნარიც არ გაგვაჩნია. აქედან უნდა იღებდეს სათავეს პოლემიკის უაღრესად დაბალი კულტურა, როცა დისკუსიის მონაწილენი ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან (მართალია, თვითონ ისინი ამას თავიანთი „ცხელსისხლიანობით“ ხსნიან, მაგრამ ეს სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი უკულტურობის გამართლების უნიჭო მცდელობა).

ქართული ხასიათის თავისებურებებზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება. ამჯერად ზემონათქვამით დავკმაყოფილდეთ. ძალზე მნიშვნელოვანია შევთანხმდეთ: ჩვენი მთავარი მტერია არა გარეშე ძალა (რუსეთი), არამედ ის ზერელე თავქარიანობა, თავნებობა, რომელიც უარყოფს არა მხოლოდ თანაცხოვრებისთვის აუცილებელ პირობითობებსა და ღირებულებებს, არამედ დასავლური სამყაროს მთავარ მიღწევას – გონების ძალას და ამ უკანასკნელს ზერელე პათეტიკით ანაცვლებს.

ჩვენი მტერია პრიორიტეტებში გაურკვევლობა. ჩვენ ჭეშმარიტების მატარებლად ის მიგვაჩნია, ვინც ჩვენს ბანალურ სტერეოტიპებს შეეფერება. ამიტომაც არის ასე იოლი ჩვენი წამოგება ემოციურ სატყუარაზე, ამიტომაც ვექცევით ასე იოლად სიტყვების ტყვეობაში მათი შინაარსის გააზრების გარეშე.

ნებისმიერი ერი ცდილობს (უნდა ცდილობდეს) თავისი ხასიათის დახვეწას. ჩვენც უნდა ვიმუშაოთ ჩვენი უარყოფითი თვისებების დაძლევაზე. სხვებისგან უნდა ვისწავლოთ კანონისადმი პატივისცემა, საზოგადოებაში ქცევის ელემენტარული წესი და რიგი, ყოფითი კულტურა, პრაგმატულობა, სიბეჯითე, მომჭირნეობა, ყაირათიანობა და სხვ. ოღონდ, ეს ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ის არ დავკარგოთ, რაც სხვებისგან პოზიტიურად გამოგვარჩევს, რაც ჩვენი ღირსებაა. პატრიოტიზმი არ ნიშნავს ყოველივე ეროვნულის ჩაბღაუჭებას. წარსულისგან ჩვენ უნდა ავიღოთ ყველაფერი საუკეთესო და არა საერთოდ ყველაფერი.

მხოლოდ ასე შევძლებთ ფეხი ავუწყოთ დროის მსვლელობას.

ტოლერანტობის საერთაშორისო დღე

იმასთან დაკავშირებით, რომ 16 ნოემბერი ტოლერანტობის საერთაშორისო დღეა (12-დან 16 ნოემბრის ჩათვლით), საქართველოში ტოლერანტობის კვირეული აღინიშნა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვირეულს ყოველწლიურად ეხმიანება. გამონაკლისი არც ეს წელი გახლდათ. პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა შეხვედრა, რომელიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებითა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით შედგა. შეხვედრას ესწრებოდნენ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები. სპეციალურად მოწვეული სტუმარი გახლდათ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური.**

ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მაკა ბერიძე:**

არ არის შემთხვევითი, რომ დღევანდელი დღე იწყება სწორედ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. საკითხები, როგორიც არის ტოლერანტობა, თანაგანცდა, უნივერსიტეტისთვის სისხლხორცეული და ორგანულია. ჩვენს უნივერსიტეტში ერთმანეთის გვერდით სწავლობენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები და უნივერსიტეტის არსებობის განმავლობაში, არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, არატოლერანტული განწყობა დაფიქსირებულიყო ამ სტუდენტებს შორის.

რექტორმა მოკლედ მიმოიხილა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია, სტრატეგიული გეგმა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ერთ-ერთ მთავარ ღირებულებად, სწორედ, ტოლერანტობა დაასახელა. **მოგეხსენებათ, რომ მისია არის მთავარი დოკუმენტი, რითიც უნივერსიტეტი აფიქსირებს თავისი არსებობის მთავარ პრიორიტეტებს. მისიაში ჩვენ ცალკე პუნქტად გამოვიტანეთ სამოქალაქო ინტეგრაციის, არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრაციის საკითხი ქართულ საზოგადოებაში. მთავარ ღირებულებებში, რომელიც გახლავთ თავისუფლება, ეროვნულობა, მესამე არის ტოლერანტობა. ამ განაცხადით ბევრი რამ თქვა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. ამ განაცხადით დააფიქსირა თავისი ძირითადი წვლილი, რაც საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად შეუძლია შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში.**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა მადლობა მოახსენა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს გულთბილი დახვედრისთვის. ქალბატონმა ლიამ წარმოადგინა საჯარო ლექცია თემაზე: **ტოლერანტობა – სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ფაქტორი.**

დღეს ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მნიშვნელოვანია, ყველამ ერთად ვისაუბროთ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის დანერგვის თაობაზე. მოგეხსენებათ, სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მიმართულებით ორიენტირებულია – ყველა ეროვნების, ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისათვის შექმნას თანაბარი განვითარების პირობები, რათა თითოეული ახალგაზრდა ჩართული იყოს როგორც საზოგადოებრივ, ასევე ეკონომიკურ, პოლიტიკურ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანია ახალგაზრდების შეხედულებები, რომლებსაც დღეს აქ გავეცნობი. სახელმწიფო მაქსიმალურად დაუჭერს მხარს ამ ახალგაზრდების მოსაზრებებს. დღეს, სახელმწიფო ენის ცოდნის გაძლიერების მიმართულებით შემუშავებულია და ინერგება არაერთი პროგრამა და პროექტი, რაც გადაჭრის ძირეულად იმ პრობლემებს, რაც არის ამ მიმართულებით.

საინტერესო გახლდათ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, ფსიქოლოგ **გულიკო ბექაურის** მოხსენება – **ტოლერანტობა, როგორც საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი ინდიკატორი.**

შეხვედრაზე მოხსენებებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც წარსდგნენ. ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის I კურსის სტუდენტმა **ჯულიეტა ელბაქიანმა** წარმოადგინა თემა – **„ჩემი რელიგია“,** ისტორიის სამაგისტრო პროგრამის II კურსის სტუდენტმა **თინათინ ტეფნაძემ** – **„ტოლერანტობა და თანასწორობა“,** ხოლო სამართლის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტმა **ანა არუთუნიანმა – „ტოლერანტობა – ადამიანთა ინდივიდუალობის პატივისცემა.“**

აღსანიშნავია, რომ შეხვედრას უნივერსიტეტის მესამე კორპუსის (ახალქალაქის) სტუდენტებიც ესწრებოდნენ.

არასაკმარისად ტოლერანტულები ვართ ადამიანები სხვადასხვა რელიგიისა თუ ეროვნების მიმართ. ჩემს მოხსენებაში, ძირითადად, აქცენტი გავაკეთე განათლებაზე, თუ რა რეფორმები უნდა ჩატარდეს, რა შეიცვალოს ამ კუთხით, რადგან ბავშვებს, მოზარდებს მცირე ასაკიდანვე ჰქონდეთ ჩამოყალიბებული ტოლერანტული ხედვები და ჰუმანური ცნობიერება. – გვითხრა **ანა არუთუნიანმა.**

შეგახსენებთ, რომ 1995 წლის 16 ნოემბერს იუნესკომ ტოლერანტობის პრინციპების შესახებ დეკლარაცია მიიღო, ხოლო 1996 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეის ინიციატივით, ტოლერანტობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა დაიწყო.

კონფერენცია ახალ სტრატეგიებსა და გაკვეთილების გაგიჟრებაგზე

3 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა რეგიონის ინგლისური ენის მასწავლებელთა რიგით მე-5 კონფერენცია თემაზე – **„ახალი სტრატეგიები და ტექნიკა მრავალფეროვან საკლასო ოთახში ინგლისური ენის სწავლებისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისთვის“.** კონფერენცია ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობა მიიღეს ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ადიგენის, ბორჯომის, ასპინძის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების ინგლისური ენის მასწავლებლებმა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის მოწვეულმა პედაგოგებმა და სტუდენტებმა. ასევე, წლევანდელ კონფერენციაში მონაწილეობდნენ ETAG-ის გორის ფილიალის მასწავლებლები, წარმომადგენლები ბათუმიდან, აშშ-ის საელჩოდან და მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, მათ შორის მისტერ **კევინ ბესერი,** რომელიც, ამჟამად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებაზე მოღვაწეობს.

მასწავლებლებს კონფერენციაში მონაწილეობის მიღება ორი მიმართულებით შეეძლოთ – როგორც მონაწილეს და როგორც დამსწრეს. სესიებისთვის შერჩეული თემები წამოადგინეს როგორც ქართველმა, ისე უცხოეულმა მონაწილეებმა. კონფერენცია ორი დღე გრძელდებოდა და მასში მონაწილეობა მიიღო, დაახლოებით, ოთხმოცდაათამდე ინგლისური ენის მასწავლებელმა. თემატიკიდან გამომდინარე, რეგიონისა თუ საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამობრძანებულმა ინგლისური ენის პედაგოგებმა ერთმანეთს საინტერესო გამოცდილება გაუზიარეს, წარმოადგინეს ის მეთოდები, რომლებსაც საგაკვეთილო პროცესში, ინგლისური ენის სწავლების დროს იყენებენ. უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენცია განხორციელდა საქართველოში აშშ-ის საელჩოს **ალუმნი** საგრანტო პროგრამის ფარგლებში, რომელიც მოიპოვა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა **გულიკო ჯანოვამ** და ამავე ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორმა **მაკა მურვანიძემ.**

კონფერენციას ორგანიზებას უწევდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის (ETAG) ახალციხის ფილიალი. გამომდინარე იქიდან, რომ კონფერენციის თემა იყო სამოქალაქო განათლება, მის ორგანიზებასა და განხორციელებაში მონაწილეობდნენ სჯსუ-ში erasmus+-ის ორი მიმდინარე პროექტის (ASSET და CURE) წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ ინგლისური ენის პედაგოგთათვის კონფერენციების გამართვას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმეწლიანი ისტორია აქვს და ასოცირებული პროფესორის გულიკო ჯანოვას ხელმძღვანელობით, უკვე მეხუთე წელია იმართება. კონფერენცია, ტრადიციულად, პროფესორმა გულიკო ჯანოვამ გახსნა. მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა მოახსენა მობრძანებულ სტუმრებს და კონფერენციების ჩატარების ტრადიციაზე ისაუბრა. შემდეგ, მოწვეულ სტუმრებსა და მასწავლებლებს მიესალმა და წარმატებები უსურვა სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მაკა ბერიძემ: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია ETAG-ი. მისი ხელმძღვანელი გულიკო ჯანოვა რამდენჯერმე ჩაუდგა სათავეში და ჩაატარა არაჩვეულებრივი კონფერენციები, რომლებიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ინგლისური ენის მასწავლებლების ჩართულობით ხორციელდება. დღევანდელი კონფერენცია მნიშვნელოვან საკითხს ეძღვნება. ეს არის ინგლისური ენის სწავლების მეთოდები. ეს კონფერენცია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მის გამართვაში მონაწილეობს ძალიან ბევრი ორგანიზაცია. მე მახარებს ის ფაქტი, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბევრ კურსდამთავრებულს ვხედავ აქ. მინდა ყველას ვუსურვო წარმატებული მუშაობა და გეტყვით, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის გამოხატავს მხარედაჭერას მსგავსი ღონისძიებების გამართვაში.**

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა **გულიკო ბექაურმა** მადლობა მოახსენა კონფერენციის ორგანიზატორს გულიკო ჯანოვას და ყველა მობრძანებულ სტუმარს მასში მონაწილეობისათვის. **მივესალმები ამერიკის საელჩოსა და მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლებს, ჩვენი რეგიონისა თუ საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსულ პედაგოგებს. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენთან შეხვედრა. მიხარია, რომ ვხედავ ჩვენს კურსდამთავრებულებს. არ არის მარტივი ინგლისური ენის სწავლება. თქვენ უდიდეს საქმეს ემსახურებით – ჩვენს ბავშვებს უნდა ასწავლოთ, უნდა შეაყვაროთ საგანი, რომელიც არ არის მათი მშობლიური ენა. მე ორმაგი პატივიცემით ვარ გამსჭვალული ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც წვლილი შეიტანა ამ კონფერენციის ორგანიზებაში. –** აღნიშნა ქალბატონმა გულიკომ.

პლენარული სესიები წარმართეს ერასმუს+ის ინსტიტუციურმა კოორდინატორმა, პროფესორმა **თინა გელაშვილმა** და ETAG საქართველოს წარმომადგენელმა, პროფესორმა **ლელა აბდუშელიშვილმა.**

კონფერენციამ საინტერესოდ და წარმატებულად იმუშავა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ერთმანეთის გამოცდილებას აუცილებლად გაიზიარებენ.

გვერდი მოამზადა
ლიკა ზაზაშვილმა

„ყველაფერი იმ ღლიღან დაიწყო, როდესაც უნივერსიტეტში მოვხვდი, საოცარ სამყაროში საოცარი ადამიანებით“

წყნარი, მოკლე ნაბიჯებით მივუყვები ქუჩას... ქუჩას, რომელსაც უნივერსიტეტამდე მივყავარ. მახსენდება ჩემი სწავლის პერიოდი. მაშინ ასე მშვიდად არასოდეს მივლია და არც ეს ქუჩა ყოფილა ასეთი მშვიდი. ახლა სასწავლო პერიოდია, წესით მეხუთე ლექცია დამთავრდებოდა და წესით გვერდს უნდა ვუქცევდე უნივერისტეტიდან მომავალ ხალისიან სტუდენტებს. რატომღაც ასე არ არის და გული მწყდება. უფრო მეტად მწყდება გული, როდესაც უნივერიტეტში ნაცნობ სტუდენტებს ვერ ვხედავ. აი, ეს გოგონა როგორ გაზრდილა, ჯერ კიდევ გუშინ სკოლისაკენ რომ მიიჩქაროდა. ახლა მესამე კურსის სტუდენტი ყოფილა... და ვაცნობიერებ, რომ წლები გავიდა, მთელი 5 წელი, რომ ყველაფერი ისე ვერ იქნება, როგორც ადრე...

რა შეიძლება ვთქვა, იმაზე მეტი, რაც დიდმა ილიამ თქვა განვლილ 4 წელზე. მაგრამ მაინც უნდა მივჯღაბნო რამე, რაც სტუდენტობის ქარბორბალას აღწერს. მთელი ცხოვრების განმავლობაში შეიძლება ვერ შეხვდე იმდენ უცხო ადამიანს, რამდენსაც სტუდენტობის წლებში შეხვდები. ყველაზე დიდს – ადამიანებთან ურთიერთობას, ზუსტად აქ სწავლობ. ეს ადამიანები ჩემს მეხსიერებაში ყოველთვის იარსებებენ, ყოველთვის მადლიერი ვიქნები მათი.

მუდამ მემახსოვრება ჩემი პირველი და უკანასკნელი დღე უნივერსიტეტში. მემახსოვრება ის სევდა, რაც თან სდევდა სწავლის დასრულებას და ის გაოცება, სიხარული, რაც უნივერსიტეტში გატარებულმა პირველმა დღეებმა მომიტანა.

პირველი დღე: ერთ-ერთ აუდიტორიაში სტუდენტები ვიკრიბებით, თუ სწორად მახსოვს, 404 იყო. ერთი ჯგუფის სტუდენტები ვგროვდებით. ერთმანეთს ჩუმჩუმად ვუყურებთ, ზოგი მაღალ ქუსლიანი ფეხსაცმლით იწონებს თავს, ზოგი სპორტულ ფორმაშია მოსული, ამ უკანასკნელებს მივეკუთვნები მეც. უნივერსიტეტში ერთადერთხელ მოვედი მაღალ ქუსლიანი ფეხსაცმლით და ის დღე კრახით დავასრულე. ამასთანავე ჩემს სპეციალობას, ჟურნალისტიკას ყველაზე მეტად კედები უხდება... ჰოდა, ივსება აუდიტორია ნელნელა. სადაცაა ლექტორიც გამოჩნდება. და აი ისიც, შემოდის შარვალ-კოსტუმში გამოწყობილი მაღალი პიროვნება. ყველა ფეხზე ვდგებით და ვესალმებით პატივცემულს. მას სახე ეცვლება და ცოტა ხანში სიცილს იწყებს. აღმოჩნდა, რომ ისიც ჩვენსავით 18 წლისაა და ისიც ჩვენი ჯგუფელია. მსგავსი კურიოზული მომენტები უამრავი იყო 4 წლის მანძილზე.

საოცარი იყო „ბუფეტში” გატარებული 10 წუთიანი შესვენებები და იშვიათი „ფანჯრები”. იმის მერე არაერთხელ მოვიმზადე „ცხელი შოკოლადი” სახლში, მაგრამ ყოველთვის რაღაც დამაკლდა. ეს რაღაც კი უნივერსიტეტის სურნელი იყო, წიგნებით, კონსპექტებით და თბილი ადამიანებით გაჟღენთილი სურნელი. არ ვიცი, რატომ დავიწყე „ბუფეტით”, როდესაც რამდენიმე განსაკუთრებით საყვარელი კუნჭული მქონდა აქ. პირველ ადგილზე იყო გაზეთის რედაქცია. შეხვიდოდი და ახალი დაბეჭდილი გაზეთების სურნელში იძირებოდი. ჩემი საყვარელი გოგონები, მაშინვე ყავის მოდუღებას იწყებდნენ და ყავის ფონზე იწყებოდა ახალი ნომრის დაგეგმარება, იდეების მოფიქრება, აქტუალური საკითხების განხილვა. ბოლოს ისე შევეჩვიე იქაურობას, გოგონებს ჩემს თანამშრომლებს ვუწოდებდი და თვით ქალბატონ მარინა ზედელაშვილსაც ასე აღვიქვამდი. ასეა, ამ ასაკში წარმოუდგენლად თავდაჯერებული ხდები და გგონია, რომ მთებსაც გადადგამ.

მეორე საყვარელი ადგილი იყო ბიბლიოთეკა. იჯექი შენთვის მშვიდად და კითხულობდი. აი სხვანაირი გარემოა, უყურებ ამდენ წიგნს და ოცნებობ, რომ ვინმემ მთელი ინფორმაცია თავში ჩაგიდოს. ესაუბრები ბიბლიოთეკარებს და ისეთი განცდა გაქვს, თითქოს ერთით მეტი წიგნი წაგეკითხოს. ასეთი, წიგნივით ადამიანები საკმაოდ ბევრნი იყვნენ ჩვენთან.

საოცარი ადგილი იყო სტამბაც, პრეს-კლუბის ოთახიც და ყველა აუდიტორია, სადაც კი ლექცია მომისმენია.

სულ ვამბობ იმას, რომ ლექტორებში ძალიან გამიმართლა. აბსოლუტურად ყველა მათგანი, პირველ რიგში მეგობარი იყო და შემდეგ – პროფესორი. ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებიც არასოდეს გვაგრძნობინებდნენ თავს მათზე ნაკლებად. დისკუსიები, პრეზენტაციები, სტატიების და წიგნების განხილვა. სულ რაღაც ხდებოდა და ყველაფერში ჩართულები ვიყავით. შეიძლება ითქვას, არცერთი წუთი უქმად არ დამიკარგავს და არცერთი ლექცია არ გამიცდენია, რადგან ზუსტად ვიცოდი, რისთვის მივედი იქ. და რომ გართობა ყოველთვის წინ არის...

ძალიან საინტერესო იყო ქალბატონ ნანა ტალახაძის ლეციები. დღესაც უდიდეს სითბოს ვგრძნობ ამ ადამიანისადმი, მიუხედავად ჩვენი კონტაქტის არარსებობისა. შუალედურების დროს ხშირად ხმაურობდა, თან სულ გვესაუბრებოდა და კონცენტრაციის მოხდენა გვიჭირდა. გვიან მივხვდი, რომ ამას ჩვენივე სიკეთისთვის აკეთებდა. „თქვენ ჟურნალისტები ხართ და ნებისმიერ პირობებში უნდა შეძლოთ მუშაობა. იმის გამო, რომ

თქვენ სტატია ან „ნიუსი” მოამზადოთ, ვერავის გააჩუმებთ. უმეტესად ხმაურიან ადგილებში მოგიწევთ მუშაობა და ეს უნდა შეძლოთ, ამას უნდა მიეჩვიოთ, აგვიხსნა ერთხელ. ყველაფერი ნათელი გახდა და დღემდე მისი მადლობელი ვარ. მე რომ წარმოუდგენელი ხმაურის პირობებში წიგნის მშვიდად წაკითხვა შემიძლია, მისი დამსახურებაა.

ეს იყო ადგილი, სადაც წასვლა სულ მიხაროდა, მიუხედავად წვიმისა, ქარისა ან მცხუნვარე მზისა. მახსოვს, წონის სიმცირის გამო, ჩემი ჯგუფელები ქარიან ამინდში მეხუმრებოდნენ, აგურები ჩაიდე ჩანთაში, ქარი წაგიღებსო. მე კი აგურების ნაცვლად წიგნები მიმქონდა ბიბლიოთეკიდან. ბევრად უფრო დაცულად ვგრძნობდი თავს ფიზიკურადაც და სულიერადაც, რადგან თან მიმქონდა მძიმე წონის და საუკეთესო ინფორმაციის მატარებელი საგნები...

მე-4 კურსზე უკვე ძალიან განვიცდიდი იმ ფაქტს, რომ სწავლას ვამთავრებდი, რომ ეს წლები აღარასოდეს განმეორდებოდა. ბოლო დღეები განსაკუთრებით დაძაბული იყო. დღესაც მესმის ყურებში კარის დახურვის ხმა, როდესაც საბაკალავრო ნაშრომი დავიცავი და აუდიტორია დავტოვე. ეს იყო უკნასკნელი დღე სტუდენტის ამპლუაში...

მას შემდეგ ბევრი საინტერესო რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში – სამსახური, ოჯახი, ახალი გარემო და ახალი მეგობრები. მე კი ხანდახან ისევ სტუდენტი მგონია თავი, ისევ კონსპექტებს ვეძებ, ზოგჯერ ისევ სწრფად დავდივარ, თითქოს ლექციაზე მაგვიანდებოდეს... იგივე მხოლოდ ის არის, რომ არცერთი წუთით არ დავუტოვებივარ წერის სურვილს და არცერთი დღე არ ყოფილა მას შემდეგ ჩემს ცხოვრებაში, როცა არ დამიწერია. განუწყვეტლივ ვწერ. ასეა, თუკი ერთხელ „მოიწამლე” ამ პროფესიით, ვერასოდეს დაანებებ თავს, თუნდაც სულ სხვა სფეროში მოღვაწეობდე. მე მაწერინებს ადამიანების ყოფნა-არყოფნის სევდა და სიხარული. ყველა ადამიანი, ეზო, ხეები, წელიწადის დროები, ახალი ფილმი ან წიგნი, ბავშვების ჟრიამული, წარსულის ნოსტალგია, მომავლის იმედი თავისთავად არის წერის ობიექტი. ყველაფერი კი იმ დღიდან დაიწყო, როდესაც უნივერსიტეტში მოვხვდი, იმ საოცარ სამყაროში, თავისი საოცარი ადამიანებით.

ნინო ზედგინიძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული

მე - მრავალშვილიანი დედა

(წიგნიდან „გენი ქართული“)

ყველა ადამიანი ბავშვობიდან მოდის და, ალბათ, ბავშვობის წლები განაპირობებს იმ მსოფლმხედველობას და ცხოვრების სტილს, რასაც მერე ის ირჩევს სამომავლოდ.

მე დავიბადე ოჯახში პირველი და ჩემს მერე კიდევ სამი, ანუ ჩემთვის მრავალშვილიანობა უცხო არ იყო და ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მეც მეყოლებოდა ბევრი შვილი, თუმცა, რვა შვილი ვერც კი წარმომედგინა. დაოჯახებისას ხშირად გვისაუბრია მე და მეუღლეს, რომ შვილების სიმრავლე კარგი იქნებოდა, მეუღლეს შვიდი ციფრი აჩემებული ჰქონდა, გაიძახოდა – შვიდი შვილი გვეყოლებაო, რაზეც ყოველთვის მეღიმებოდა.

ჩემი აზრით, მრავალი შვილი დიდი პასუხისმფებლობაა უფლისა და საკუთარი თავის წინაშე. შენ მათ ადამიანობა უნდა ასწავლო და მისცე ის, რაც ნებისმიერ კარგ ადამიანს სჭირდება. ეს კი არც ისე ადვილია. მათ სიყვარული უნდა მისცე, რომ მერე მათ ეს გასცენ, ამიტომ ყოველი ბავშვის დაბადება, სასიხარულო მომენტთან ერთად, ცოტა შიშის მომგვრელიცაა, ვაითუ ვერ გამოგივიდეს. ყოველი ბავშვის დაბადება აასმაგებს ამ პასუხისმგებლობას და ტვირთს. შენ ვალდებული ხარ მათ წინაშე.

როდესაც მეოთხე და ასე შემდეგ გიჩნდება, ოჯახი სხვა სიხარულით ივსება არამარტო მშობლისთვის, არამედ ბავშვებისთვისაც, რომლებიც 9 თვე შენთან ერთად მოუთმენლად ელოდებიან ახალი სიცოცხლის დაბადებას, შენთან ერთად განიცდიან და აწყობენ მისთვის სამომავლოდ გეგმებს. სახელი, ტანსაცმელი, ოთახი, მოწყობილობა... ყველაფერი ერთად უნდა გადაწყდეს, ისიც კი, ვის უნდა გავდეს ვიზუალურად, განხილვის საგანია.

ასეთ ოჯახებში მოწყენა არც ისე ადვილი საქმეა, აქ მუდამ ფხიზლად უნდა იყოს დედა მესაზღვრესავით. სევდა, ნერვიულობა, სიხარული და ბედნიერება აქ უფრო დიდი და ემოციურად მრავლისმომცველია. მე ბედნიერი დედა ვარ, მადლობა უფალს! მადლობა თითოეული შვილისთვის, თითოეული წყვილი თვალისთვის, რომელიც გაფაციცებით შემომცქერის, როგორც დედას – ყოვლისშემძლეს!

ჩემს ოჯახში დილა ხმაურიანად იწყება, მეუღლე და დიდები სახლიდან გადიან, მათ ყველას ყურადღება სჭირდება, მოწესრიგება, საუზმე, ჩანთების ჩალაგება... ერთი ომის ტოლფასია. ეს მძაფრდება მაშინ, როდესაც ყველა პატარაა და ყველას თვალყური უნდა ადევნო, როდესაც უფროსი 10 წლისაა და ასე მოყვება ქვევით 6 თვემდე. 4 სკოლის მოსწავლეა – მათე, ანა, ნინო, იოანე. მათე 10 წლისაა, ანა 9 წლის, ნინო 7 და იოანე – 6-ის. დანარჩენები: ლუკა – 4, მარტა – 2 და მარკოზი და მარიამი 6 თვისები. როდესაც გამსვლელებს გავუშვებ და კარებს მივხურავ, მგონია, რომ გიჟური ხმაური წყდება, მაგრამ ამასობაში დანარჩენების დილა იწყება, მოწესრიგება, საუზმე და მერე... მოდიან... სადილი, მზადება სკოლისთვის, ზოგი რომელიმე წრეზე მიდის, ზოგი მოდის და ასე ხმაურით ვიძინებთ და ასე ბრუნავს კარუსელივით 5 დღე, განსხვავებით შაბათ-კვირისა. როდესაც ერთი ოჯახის დღეა – შაბათი, ვცდილობთ, ერთად გავატაროთ დრო და კვირა დღე – ვცდილობთ, უფალს მივუძღვნათ და წირვაზე წასვლით განვადიდოთ ის.

ერთმანეთზე ზრუნვა ჩვეულებრივი ამბავია ჩვენ ოჯახში, განსაკუთრებით პატარებზე ზრუნვა. ტყუპები მარკოზი და მარიამი ჯერ დაბადებულები არ იყვნენ, გაყოფილი ყავდათ – გოგონა გოგონების იყო, ბიჭუნა – ბიჭების. ბავშვებს ძალიან ეხალისებათ, როდესაც ერთმანეთის აღზრდაში შეაქვთ წვლილი, როდესაც მათ აზრს ითვალისწინებ თუ რა ჩააცვა და როგორ გაუკეთო თმა.

საერთო ჯამში, ძალიან საინტერესოა პატარებთან ერთად მომავლის დაგეგმვა, ისინი ხომ საოცრად კრეატიული ტვინის პატრონები არიან.

ბევრი შვილი ღვთის წყალობაა და დიდი სიხარულით აღავსებს მშობლების გულს. შენ სხვა ენერგიას გრძნობ, სხვა ძალას, სწორედ იმ ღვთიურ ძალას, რომელიც გაბედინებს, რომ თქვა: ეს ღვთისწყალობაა და შენ ყველაფერს შეძლებ, მიუხედავად უკვე წამოჭრილი მრავალი პრობლემისა და სირთულისა. სახლში 8 ბავშვია და თითქოს ცოტაა. ვიღაცისთვის შეიძლება ეს ციფრი დიდია და დასანახადაც ბევრი, მაგრამ ჩემთვის, როგორც ენერგიის გამცემისთვის, ეს იგივეა – ერთი გყავდეს. საერთოდაც, მგონია, რომ ერთსაც და რვასაც ერთი და იგივე ენერგია სჭირდება, რაც კი შეუძლია დედას, მაქსიმალურად გასცეს. მთავარია, დრო გონივრულად გქონდეს განაწილებული და შენი ენერგიული ძალები გონივრულად გამოიყენო. ბევრ ბავშვთან ერთად სწავლობ, იყო უფრო ყურადღებიანი, საზრიანი, პუნქტუალური და სწრაფადრეაგირებადი ყველა საკითხში. ამ დროს არ გაქვს უფლება, იყო უბრალოდ დედა, შენ უნდა იყო „სუპერ დედა”.

როდესაც მთელი დღე თავისი გიჟური რიტმით ჩაივლის და ღამით მამა სახლში შემოდის, ახალი ემოციური ტალღა მოდის მამის სახით. მამა სხვა ემოციაა და უფრო მეტი სულიერებაა ბავშვებისთვის. მეუღლე ძალიან ცდილობს ბავშვების სულიერ განათლებას და ზნეობრივად ჩამოყალიბებაში იღებს მონაწილეობას. მასთან ერთად სახარების კითხვაში ვიღებთ მონაწილეობას და ვემზადებით მერე დაწოლისთვის. გვაქვს ძილისწინა საკითხავები, რომლითაც მე, როგორც დედა, ძალიან დიდ სიამოვნებას ვიღებ, სიამოვნებას იღებენ ბავშვებიც. სწავლა-განათლება არც ისე რთული აღმოჩნდა ამდენ ბავშვებში. სმენით ითვისებს ყოველი მომდევნო და ძალიან აადვილებს პირველი კლასელის მომზადებას. ჩემი გამოცდილებით შემიძლია ვთქვა, რომ მთავარია პირველ შვილს მისცე სწორი მიმართულება, დატვირთო ინფორმაციით და დანარჩენები მისგან მხოლოდ სმენით ისწავლიან. ჩემს ოჯახში კითხვა, ანგარიში, თვლა, ფერები და ა.შ. ისე ისწავლეს, მე მხოლოდ უფროსთან ვიშრომე, გამოვიწურე, რასაც ჰქვია და ზოგჯერ გამიკვირდება, დანარჩენთან რა ადვილად მიდის ყველაფერი და პირველს რა სჭირდათქო. მრავალშვილიან ოჯახში სხვა მადლია, სხვა სიყვარული და სხვა ზრუნვა. მე ამაყი ვარ, რომ რვა შვილის დედა ვარ, სამშობლოს ვუზრდი შვილებს, იმედი მქვს – ღირსეულ შვილებს. როდესაც ხმაური წყდება და სიჩუმე ისადგურებს სახლში, როდესაც მხოლოდ საბნის გასწორება მრჩება საქმედ, ვხვდები, რაოდენ ბედნიერი და სავსე ვართ მე და ჩემი მეუღლე შვილებით.

ბარბარე გალიბინი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

მწერლის „გოლგოთის გზა“

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 4 დეკემბერს, სტუდენტები, თავიანთი თანატოლის, **მიხეილ ირემაძის** პოლიტიკური რომანის **„გოლგოთის გზა“** პრეზენტაციას დაესწრნენ. 20 წლის მიხეილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სპეციალობის მესამე, ასევე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოცპოლიტიკის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტია. მან რამდენიმე წელი ემიგრაციაში, საბერძნეთში გაატარა, დაწერა პოლიტიკური რომანი და საკუთარი ნააზრევის გასაცნობად, ეტაპობრივად, თანატოლებს სტუმრობს.

დამსწრე საზოგადოებას მწერალი წარუდგინა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა **მირზა ბურძენიძემ: მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდა მწერალი გვყავს სტუმრად. დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს, რომ მოხვედით და დაინტერესდით. ეს დღე არის მათთვის, ვისაც წიგნის კითხვა უყვარს. მიხეილი არის კრეატიული ახალგაზრდა. ჩვენ ერთმანეთი ერთი თვის წინ გავიცანით, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოადგილის კახა მჭედლიძის დახმარებით. დიდი მეგობრობა ჩამოყალიბდა ჩვენს შორის. მივხვდით, რომ არის გარკვეული პრობლემები, რაც თითოეულ ახალგაზრდას აწუხებს და სწორედ ამ საკითხებზეა წიგნში საუბარი.**

მიხეილი სტუდენტებს მიესალმა და მადლობა მოახსენა

მობრძანებისთვის. **ბევრს უკვირს, რატომ მაინცდამაინც ახლა მოვინდომე წიგნის გამოცემა. თემატიკა სპეციფიკურია. პირველ რიგში, მთავარი მიზანი იყო ის, რომ ჩემ ტოლ ახალგაზრდებთან გავსულიყავი, მათთან მესაუბრა იმ თემებზე, რომელიც გვაწუხებს ყოველდღიურად. ამ წიგნის ჟანრია პოლიტიკური რომანი. მსგავსი ჟანრებით ქართველი მწერლები არ გამოირჩევიან. ვიფიქრე, რატომაც არა, თუ ვინმეს აქვს სურვილი, შექმნას რაღაც ახალი, ავდექი და ეს მე გავაკეთე.** – უთხრა ახალგაზრდებს მიხეილმა. მან ისიც აღნიშნა, რომ პოლიტიკურ რომანში არ არის მითითებული ნაწარმოების შექმნის დრო, ადგილი, კონკრეტული პიროვნებები. ყოველივე ამის აღქმა მკითხველ საზოგადოებას მიანდო. ახალგაზრდა ავტორმა პრეზენტაციისათვის გამოიყენა განსხვავებული მეთოდი. ნაწარმოებიდან ამოკრეფილი საინტერესო პასაჟები განთავსებული იყო ცალკეულ კონვერტში. მსმენელი სტუდენტები მორიგეობით კითხულობდნენ ამ პასაჟებს, რომელებზეც შემდეგ დისკუსია იმართებოდა.

ნაწარმოებში ასახულია პროცესი გოლგოთის გზისებურად. გმირები, რომლებიც არიან ამ წიგნში წარმოჩენილი, ცდილობენ, ეძებონ ის გზები, რომელიც არ იქნება მარტივი. თუ დავუკვირდებით, ნაწარმოებში საქმე არ გამოდის კარგად, ან გამოდის და მნიშვნელოვანი არ არის. თუ კი ტკივილიც იქნება, მარცხიც იქნება და შემდეგ მოიპოვება გამარჯვება, ეს გამარჯვება ყოველთვის დარჩება. მთავარი ხომ უკვდავებაა. ჩვენ ყველა მოვკვდებით. მთავარია, რას დავტოვებთ აქ. ამ ნაწარმოებში არსებული გმირები სწორედ ამას ცდილობენ, რომ თავიანთი გზა აღმოაჩონონ, მიზანს მიაღწიონ და საკუთარი სახელი აქციონ უკვდავად. – აღნიშნა მწერალმა.

ვფიქრობთ, თავად მიხეილმა თავისი ცხოვრების გზა აღმოაჩინა და მიზანს, ნაწილობრივ, მიაღწია. ახალგაზრდა მწერალს წინ დიდი შემოქმედებითი გზა აქვს გასავლელი.

ლიკა ზაზაშვილი

ნათია ნადირაძე გრიგოლ ხანძთელის სახელობის სტიპენდიანტია

***გაზაფხულის** სემესტრის მიხედვით, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ნათია ნადირაძე გახდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გრიგოლ ხანძთელის სახელობის სტიპენდიანტი.*

უნივერსიტეტი აკადემიური მოსწრებითა და საზოგადოებრივი აქტიურობით გამორჩეულ სტუდენტებს რამდენიმე სახის სტიპენდიით აჯილდოვებს. მათ შორის ერთ-ერთი გრიგოლ ხანძთელის სახელობის სტიპენდიაა, რომელსაც მხოლოდ ერთი გამორჩეული სტუდენტი იღებს. სტიპენდიის ოდენობა 200 ლარია. თანხა სტიპენდიანტს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ერიცხება. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სტიპენდია უნივერსიტეტში უკვე ექვსჯერ გაიცა.

სტიპენდიის მეშვიდე მფლობელის ვინაობის გასარკვევად, 5 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური კომისია უნივერსიტეტის რექტორის, ასოცირებული პროფესორის მაკა ბერიძის ხელმძღვანელობით შეიკრიბა. კომისიის წევრებმა ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი კანდიდატების მონაცემები წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით შეისწავლეს და ქულების რაოდენობა დათვალეს. ასეთი რთული კონკურენციის პირობებში, ნათია ნადირაძემ ღირსეულად მოიპოვა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სტიპენდიანტის სტატუსი.

თუ რა გზა განვლო ნათიამ ამ წარმატების მიღწევამდე, ის თავად მოგვითხრობს.

გზა წარმატებისკენ

როდესაც რაიმეს გულით მოინდომებ, მჯერა, რომ მიზანს აუცილებლად მიაღწევ. მთავარია, დიდი სურვილი და შრომა. მიხვდები, რომ შეუძლებელი არაფერია.

მე ვარ ნათია ნადირაძე. ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი. სკოლაში აქტიური მოსწავლე ვიყავი. ასპინძის №1 საჯარო სკოლა კარგი ნიშნებით დავამთავრე. მიყვარს კითხვა. წლების განმავლობაში ვმღეროდი ასპინძის სამუსიკო სკოლის გუნდში. ასე გაიარა ბავშვობის წლებმა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის სპეციალობაზე მაღალი ქულებით ჩავირიცხე. სამწუხაროდ, ამ სპეციალობაზე ჯგუფი არ შედგა და გადავედი ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ეკოლოგიის სპეციალობაზე. ეს ორი სფერო ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება, მაგრამ ეკოლოგია ძალიან მომწონდა. ვთვლი, რომ ამ სფეროში ჩემს თავს ვიპოვი.

უნივერსიტეტი და ჩვენი ლექტორები მაქსიმალურად ცდილობენ, საჭირო განათლება მისცენ ყველა სტუდენტს და გაუკვალონ გზა მომავალ პროფესიაში. კმაყოფილი ვარ სასწავლო პროცესით და ჩემი ლექტორებით, რომლებიც ცდილობენ საფუძვლიანი განათლება მოგვცენ. მათგან უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობ. ვცდილობ, მაქსიმალურად ვიყო აქტიური და ჩართული ტრენინგებსა თუ კონფერენციებში. ასევე, ვმონაწილეობ წარმომადგენლობითი საბჭოს მუშაობაში. უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტების აზრს და ცდილობს, გაითვალისწინოს მათი წინადადებები. ეს ყველაფერი მე დიდ გამოცდილებას და ცოდნას მაძლევს. ძალიან მინდა, ვიმუშაო ჩემი სპეციალობით, მაქსიმალურად გამოვცადო ჩემი შესაძლებლობები და პრაქტიკაში გამოვიყენო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა.

მეორე კურსიდან გავხდი სტიპენდიანტი. ორი სემესტრი ვიღებდი უნივერსიტეტის სტიპენდიას. თავიდან გამიჭირდა, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. მესამე კურსის პირველ სემესტრში უკვე სახელმწიფო სტიპენდია მივიღე. ეს იყო დიდი სტიმულის მომცემი, მებრძოლა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სტიპენდიისთვის. ვეცადე, მაქსიმალურად დამეკმაყოფილებინა ის კრიტერიუმები, რითიც ფასდებოდნენ წარდგენილი სტუდენტები და მე ეს შევძელი.

წელს უკვე ვამთავრებ სწავლას და მინდა, რომ გრიგოლ ხანძთელის სახელობის სტიპენდიანტის სახელით დავტოვო უნივერსიტეტი. მაქსიმალურად ვეცდები და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ამ სემესტრშიც მოვიპოვო გრიგოლ ხანძთელის სტიპენდია.

მინდა ვურჩიო სტუდენტებს – იკითხონ ბევრი, დაინტერესდნენ ყველაფრით, რაც მათ გარშემო ხდება, ეძებონ ყველა გზა ცოდნის გაღრმავებისთვის, იყვნენ დარწმუნებულები თავიანთ შესაძლებლობებში და ბევრი იშრომონ. მთავარი აქ მონდომება და იმ საქმის სიყვარულია, რასაც აკეთებ. ამიტომ, არ ჩაიქნიონ ხელი, თუ ბევრ დაბრკოლებას გადააწყდებიან. პირიქით, გამოცდილებას მიიღებენ და მიხვდებიან, თუ რა უნდათ ცხოვრებაში.

ჩვენმა უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა გერმანიაში, მაგისტრატურაში გამეგრძელებინა სწავლა. ენობრივი ბარიერის და პირადი მიზეზების გამო უარი ვთქვი. თუ კი სტუდენტები ამ შესაძლებლობით ისარგებლებენ, აუცილებლად კმაყოფილები დაბრუნდებიან ჩვენს ქვეყანაში. ვურჩევ სტუდენტებს, ვისაც სურვილი აქვს, აუცილებლად გამოიყენონ ეს შესაძლებლობა.

მე ისიც ვცადე, ოცნება ამეხდინა და ჟურნალისტიკის სფეროში გამომეცადა ჩემი უნარი, მაგრამ მივხვდი, რომ ეკოლოგია ბევრად ახლოსაა ჩემთან და ეს იქნება ჩემი მთავარი საქმე. ამიტომაც ვეცდები, მომავალში ჩემი პროფესიით გავაგრძელო მუშაობა.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს დეკანს და ლექტორებს, რომლებიც მიდგანან გვერდით და ცდილობენ, მაქსიმალური ცოდნა მომცენ. ვხედავ და ვგრძნობ, რომ ჩემთვის ბევრს აკეთებენ. მე არ მაქვს უფლება, ჩემზე დამყარებული იმედები გავუცრუო მათ. ამიტომ ვეცდები, მაქსიმალური გავაკეთო, ამ უნივერსიტეტიდან ღირსეული სახელით რომ წავიდე.

მრძოლა პირველობისთვის

13-14 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. ჩემპიონატში მონაწილეობდა უნივერსიტეტის 60-მდე სტუდენტი. თამაშები ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. გამარჯვების სურვილით შეპყრობილი ახალგაზრდები არ უდებდნენ ერთმანეთს ტოლს.

ჩემპიონატის მეორე დღეს, გამოვლინდნენ ფინალისტები. პირველობისთვის ბრძოლაში ბიზნესადმინისტრირების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი **რაშიდ ქუჩალიევი**, იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი **ლაშა სისაური** და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელი **ანდრანიკ პოღოსიანი** ჩაერთვნენ. პირველობა მეტოქეებს არ დაუთმო **რაშიდ ქუჩალიევმა**. მეორე და მესამე ადგილები **ლაშა სისაურმა** და **ანდრანიკ პოღოსიანმა** გადაინაწილეს.

კულტურისა და სპორტის განყოფილების ხელმძღვანელმა **თემურ მაღრაძემ** გამარჯვებულებს სიგელები გადასცა და, ამასთან, უახლოეს დღეებში მკლავჭიდში შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატის გამართვა დააანონსა.

ძლიერი ბიჭები

18 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი მკლავჭიდში. ჩემპიონატი 70; 80 და აბსოლუტურ წონით კატეგორიაში შედგა. 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველობისთვის თოთხმეტი სტუდენტი იბრძოდა. მათგან პირველი ადგილი **დავით მარკოიძემ** დაიკავა, ხოლო მეორე და მესამე ადგილები **მუხამედ ბერიძემ** და **აზატ ფარმანიანმა** გადაინაწილეს.

80 კილოგრამ წონით კატეგორიაში ერთმანეთს 6 სტუდენტი შეერკინა. პირველი ადგილი **გაგა გელაშვილმა**, ხოლო მეორე ადგილი **ჯიმი ნადირაძემ** დაიკავეს. მესამე ადგილის მფლობელი **გაგა ქიმაძე** გახდა.

რაც შეეხება აბსოლუტურ წონით კატეგორიას, მარჯვენა და მარცხენა ძლიერი ხელის მქონე სტუდენტებისთვის, ცალ-ცალკე გაიმართა. კატეგორიაში „აბსოლუტური მარჯვენა“ პირველობის მოპოვებისთვის ათი სტუდენტი ჩაერთო. პირველი ადგილი **გაგა გელაშვილმა** მოიპოვა, მეორე ადგილის მფლობელი კი **ჰიქმეთ დაბახჩი** გახდა. კატეგორიაში „აბსოლუტური მარცხენა“ თორმეტმა სტუდენტმა იასპარეზა. აქ პირველი ადგილი **გიორგი კუჭუხიძემ**, მეორე კი – **ჯიმი ნადირაძემ** დაიკავა.

რედაქტორი
მარინე ზედელაშვილი

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 106
ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68
ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge